

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

მზექალა აჭაიძე

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

მ ა ც ნ ე

თბილისი

2018

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ალექსანდრე კარტოზია, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზაქარია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოფიციალური რეცენზენტები: ელიზაბეტ ვენორი, პროფესორი, კატოვიცის შლეზიური უნივერსიტეტი

რამაზ ქურდაძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო აბრალავა, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის ... თებერვალს, ... საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 11, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კორპუსი, აუდიტორია №...

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი: თამარ გაგოშიძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სარჩევი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება..... 5

ნაშრომის ძირითადი შინაარსი 7

შესავალი 7

I. თავი - გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდები, ენობრივი და არაენობრივი ფაქტორების გავლენა შესწავლის პროცესზე..... 7

1.1. გერმანული ენის საერთაშორისო როლი და მისი სწავლების სპეციფიკა..... 7

1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და განვითარების ეტაპები..... 7

1.3. რეცეპტული და პროდუქტიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები უცხო ენის გაკვეთილზე 8

1.4. გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე 8

1.5. გარეენობრივი ფაქტორების გავლენა უცხო ენის შესწავლისას..... 9

1.5.1. ადამიანის ბიოლოგიური მზაობა ენის ასათვისებლად 9

1.5.2. შემსწავლელის ასაკისა და კოგნიტური განვითარების გავლენა ენის ათვისების პროცესზე 9

1.5.3. შემსწავლელის სქესის გავლენა ენის შესწავლის პროცესზე 10

1.5.4. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა ენის მიმართ 11

1.5.5. პიროვნული ფაქტორების გავლენა ენის ათვისების პროცესზე 11

1.5.6. აფექტური ფაქტორები..... 12

1.6. ენის ათვისების (Spracherwerb) პროცესი..... 12

1.6.1. მშობლიური და უცხო ენის ათვისების მსგავსება-განსხვავებანი 13

II. თავი - ინტერკულტურული მეთოდი..... 14

2.1. ინტერკულტურული კონცეფცია - ინტერაქცია კულტურებს შორის..... 14

2.2. გერმანელი ლინგვოდიდაქტიკოსების ინტერკულტურული სწავლების კონცეფცია..... 15

2.3. ენა და კულტურა 15

2.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდური პრინციპები..... 15

2.5. ინტერკულტურული სწავლება და ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე გამოწვევები 16

2.6. ქვეყანათმცოდნეობის როლი უცხო ენის შესწავლისას და მისი სწავლების ფორმები..... 16

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

2.7. სტერეოტიპები ინტერკულტურული კომუნიკაციის კონტექსტში	16
2.8. დიდაქტიკური მიდგომა სტერეოტიპებისადმი უცხო ენის გაკვეთილზე	17
2.9. ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი გერმანულის სახელმძღვანელოები	17
2.10. გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ქართულ უმაღლეს სკოლაში.....	18
III. თავი - ირეალისი და მისი გამოხატულება გერმანულ და ქართულ ენებში	18
3.1. ირეალისის ცნება ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომებში	18
3.1.2. მოდალობა და მისი გამომხატველი ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში.....	19
3.1.3. კონიუნქტივის მნიშვნელობა და ფუნქცია.....	20
3.1.4. კონიუნქტივის პარადიგმა გერმანულ ენაში - Konjunktiv I-ის და Konjunktiv II-ის წრები.....	20
3.1.5. დროის ფორმების ურთიერთმიმართება გერმანული ენის ინდიკატივსა და კონიუნქტივში.....	21
3.1.6. კონიუნქტივის (Konjunktiv) II-ის, როგორც ირეალისის გამომხატველის, გამოყენების ნორმები და ფუნქციები გერმანულ ენაში.....	21
3.2. ქართული და გერმანული ენების შეპირისპირება ირეალისის გამოხატვისას და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებანი.....	21
3.2.1. ირეალისის შესაბამისობა ქართული ზმნის მწკრივის ფორმებთან	24
IV თავი: ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური ასპექტები ინტერკულტურულ კონტექსტში	25
4.1. პრაქტიკული ნაწილი.....	25
4.2. სტუდენტთა გამოკითხვა	26
4.3. მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური კითხვარის მეშვეობით და გამოკითხვის შედეგები	27
4.4. ინტერკულტურული უცხო ენის ლექციის მოდელები	27
4.4.1. ლექციის მოდელი I.....	27
4.4.2. ლექციის მოდელი II.....	30
4.5. ინტერვიუ ექსპერტებთან - ფოკუსჯგუფის კვლევა.....	31
კვლევის შედეგები და დასკვნები.....	32
რეკომენდაციები.....	35

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

უცხო ენის შესწავლა რთული და შრომატევადი ინტელექტუალური პროცესია ზრდასრული ადამიანისთვის. ენის ათვისებისას მრავალი ასპექტია გასათვალისწინებელი, მათ შორის მნიშვნელოვანია ენის გრამატიკული, ლექსიკური თუ კულტურათაშორისი ასპექტები, რომელთა გარეშე ვერ მოხდება უცხო ენის სრულყოფილად ათვისება. წლების განმავლობაში იცვლებოდა ენის შესწავლის მეთოდები და მიდგომები, განიხილებოდა, თუ რა გზებითაა შესაძლებელი ენის სწრაფად ათვისება.

ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: ქართულენოვანთათვის გერმანული ირეალისის შესწავლის თავისებურებების გამოვლენა, შესაბამისი სტრუქტურების შედარება ქართულ და გერმანულ ენაში, იმ გზებისა და მეთოდის მოძიება, რომლის საშუალებით ენის შემსწავლელს გაუადვილდება ირეალისის გაგება და სწორად შეძლებს მის გამოყენებას.

მნიშვნელოვანია უცხო ენის თავისებურებების ახსნისას ყურადღება გამახვილდეს მშობლიური და უცხო ენების მსგავსება-განსხვავებებზე, რათა შესაძლებელი გახდეს უცხო სტრუქტურის უკეთ გათავისება და აღქმა.

ნაშრომში ქართული და გერმანული ენების შეპირისპირების შედეგად გამოვლენილია ამ ენებში ირეალისის მორფო-სინტაქსური საფუძველი და ამავდროულად განსაზღვრულია ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური მიდგომები ინტერკულტურული მეთოდის გათვალისწინებით გერმანული ენის სწავლება-ათვისების ეფექტურად წარმართვისათვის.

კვლევის პრობლემა და აქტუალურობა. გერმანული ენის ქართველი შემსწავლელებისთვის ირეალისის დაუფლებას ართულებს ის გარემოება, რომ ქართულში ირეალისის გრამატიკული ფორმა არ გაგვაჩნია. ქართული ზმნის სერიებსა და მწკრივებშია გაბნეული ირეალისის შესატყვისი ფორმები. გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე შედარებით იოლად ხერხდება ირეალისის გამომხატველი კონიუნქტივ II-ის ფორმალური აგებულების ათვისება, მაგრამ ძალზე გაძნელებულია მისი სწორად და ადეკვატურად გამოყენება შესაბამის სიტუაციებში. ეს გრამატიკული კატეგორია ენის სწავლების განსხვავებულ საფეხურზე სხვადასხვა ინტენსივობით მიეწოდება შემსწავლელებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მათ გავლილი და შესწავლილი აქვთ კონიუნქტივ II-ის წარმოება და მისი გამოყენება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ ახერხებენ მის სწორად გაანალიზებას და შესაბამის სტრუქტურაში გამოყენებას.

ქართულ სოციო-კულტურულ სინამდვილეში მრავალი ადამიანი ეუფლება გერმანულ ენას. ნაშრომის აქტუალურობა მდგომარეობს ირეალისის გამოხატვისას ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებასა და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებების გამოვლენაში, ასევე ინტერკულტურულ კონტექსტში ირეალისის სწავლებისათვის საჭირო პრაქტიკულ-დიდაქტიკური მიდგომებისა და გერმანული ენის სწავლების პროცესში მიწოდებული თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნის გზების მოძიებაში.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

კვლევის სიახლე. ქართულ რეალობაში არ არსებობს გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ირეალისის ინტერკულტურული მეთოდით სწავლების მოდელი გერმანულის სწავლების სხვადასხვა (A და B) საფეხურზე. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის სწავლების მოდელის შექმნა გერმანულის, როგორც უცხო ენის, პრაქტიკული მეცადინეობისთვის უმაღლეს სკოლაში. გვსურს კვლევის შედეგად განხილული თეორიული მასალის საფუძველზე შევიმუშავოთ გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილისთვის საჭირო დიდაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები. ჩვენი **სამუშაო ჰიპოთეზის** დასადასტურებლად საჭიროდ ჩავთვალეთ ექსპერტებთან/უმაღლესი სასწავლებლის გერმანული ენის პედაგოგებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ ფოკუსჯგუფში. **ექსპერტების შერჩევა** მოხდა მიზნობრივად, მათ უნდა ჰქონოდათ უმაღლეს სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი სწავლების გამოცდილება.

ნაშრომის სიახლეს ასევე წარმოადგენს ქართული და გერმანული ზმნის სისტემების მორფო-სინტაქსური სტრუქტურების შეპირისპირებითი კვლევა გერმანული ირეალისის შესატყვისი ფორმების მოძიების მიზნით ქართულში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის შესწავლის გზების დასახვა, ქართული და გერმანული ენების შეპირისპირების საფუძველზე ინტერკულტურული მეთოდით სწავლების მოდელის შემუშავება, რაც გაუადვილებს ენის შემსწავლელს ირეალისის ათვისებას და ჩამოუყალიბებს მას ახალ სოციო-კულტურულ პერსპექტივას.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში. **კვლევის ობიექტად განისაზღვრა** ირეალისი და მისი სწავლების პროცესი უმაღლეს სკოლაში.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებული იქნა შედარებითი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. მოძიებული, დამუშავებული და შედარებული იქნა ირეალისის შესახებ და მის სწავლებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, ჩატარდა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალურად შექმნილი კითხვარის მეშვეობით, გაანალიზდა ეს კითხვარი, ირეალისის თემის შესწავლა/განმტკიცება/გაანალიზების საფუძველზე შეიქმნა ირეალისის სწავლების ინტერკულტურული სწავლების მოდელი, რომლის განხილვა და ვალიდობის დადგენა მოხდა ფოკუსჯგუფში, გამოითქვა მოსაზრებები და შეფასებები, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული და თეორიული ღირებულება. კვლევაში წარმოდგენილი მასალის ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე ირეალისის ინტერკულტურული მეთოდით სწავლებას და ნასწავლის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. წინამდებარე კვლევის და მისი დასკვნების გამოყენება წარმატებით შეიძლება გერმანული და ქართული ზმნის სისტემების მორფო-სინტაქსური ანალიზის დროს, პედაგოგიკის მეცნიერებისა და თარგმანის მიმართულელებით. ნაშრომი შეიძლება გამოიყენონ გერმანული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სხვა პროფილის სასწავლო კურიკულუმებსა და სალექციო კურსებში.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 4 ძირითადი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ასევე ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელშიც მითითებულია ოთხ ასეულზე მეტი ერთეული, ქართულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ნაშრომი მოიცავს 218 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი შესავალი

შესავალში მოკლედაა განხილული კვლევის მიზანი და საგანი, აქტუალურობა და სიახლე, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, კვლევის შედეგების პრაქტიკული და თეორიული ღირებულებები.

I. თავი - გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდები, ენობრივი და არაენობრივი ფაქტორების გავლენა შესწავლის პროცესზე

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იკვეთებოდა განსხვავებული დიდაქტიკური მეთოდები. ახალი მეთოდების დანერგვის მიზნები და საფუძვლებიც განსხვავებული იყო. ყველა ეპოქა მიმართავს უცხო ენის სწავლების მისთვის უფრო ხელმისაწვდომ და ხელსაყრელ მეთოდებს ქვეყნის პოლიტიკური ვითარების, სოციალური მოთხოვნების, საერთაშორისო კონტაქტების თუ იმ ეპოქისათვის აქტუალური კულტურული ფასეულობების შესაბამისად. სწავლების მეთოდების გარდა, შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენობრივი და არაენობრივი ფაქტორები.

1.1. გერმანული ენის საერთაშორისო როლი და მისი სწავლების სპეციფიკა

გერმანული მსოფლიოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ენაა. იგი დედაენაა 100 მილიონამდე ადამიანისათვის. ენის გავრცელებასა და მის საერთაშორისო მნიშვნელობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: პოლიტიკური ვითარება, ომები, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული პროცესები და სხვ. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გერმანული ენა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო ენა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანულის, როგორც სამეცნიერო ენის როლი, შესუსტდა - ეს განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეეხო. უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მსოფლიოში ენათა ბალანსიც შეცვალა.

ლუტც გოეტცე (Götze) აღნიშნავს, რომ მსოფლიოში დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი შეისწავლის გერმანულს, როგორც უცხო ენას, პირადი, სამსახურებრივი ან სახელმწიფოებრივი საჭიროებისთვის.

1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და განვითარების ეტაპები

სასკოლო დაწესებულებაში უცხო ენის სისტემურ შესწავლას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა დროს დამკვიდრებულ მეთოდთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრამატიკულ-მთარგმნელობითი, ბიჰევიორისტული, პირდაპირი, შერეული, კოგნიტური,

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

აუდიო-ლინგვალური, აუდიო-ვიზუალური, ალტერნატიული, კომუნიკაციური და ბოლო დროს გავრცელებული, ინტერკულტურული მეთოდები. ის, რომ ჩამოთვლილ მეთოდთაგან თითოეული გარკვეული დროის შემდეგ სხვა მეთოდით იცვლებოდა, განპირობებული იყო არა მათი კონცეპტუალური არასრულფასოვნებით, არამედ გარკვეულ გარემოებათა გავლენით მათი პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზების შეუძლებლობით.

ზემოთ აღწერილი სწავლების მეთოდების განხილვისას სამიზნე ჯგუფები, სიტუაციები, ამოსავალი კულტურა, მოტივაცია და უცხო ენის შესწავლის მიზნები იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია, რომ შეუძლებელია ერთადერთი სწორი გზა და მიდგომა არსებობდეს. ყოველ მეთოდს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, საჭიროა, რომ მასწავლებელი კარგად გაეცნოს თითოეულ მეთოდს და თითოეულისგან საუკეთესო აიღოს სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1.3. რეცეპტული და პროდუქტიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები უცხო ენის გაკვეთილზე

უცხო ენის გაკვეთილის მეთოდიკა განასხვავებს ოთხ ძირითად უნარ-ჩვევას: მოსმენას, საუბარს/მეტყველებას, წერას და კითხვას. ეს უნარები განსხვავდება ერთმანეთისგან რეცეპციის/გაგების და პროდუქციის მიხედვით. სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

უნარ-ჩვევა	რეცეპტული	პროდუქტიული
ზეპირი	მოსმენა	საუბარი/ლაპარაკი
წერითი	კითხვა	წერა

მიუხედავად რეცეპტული და პროდუქტიული უნარების განსხვავებულობისა, ყველა ეს უნარ-ჩვევა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი ერთობლიობა და ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს ენის ათვისების პროცესის სირთულესა და კომპლექსურობას.

1.4. გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე

გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილის მუდმივი თანმხლები პროცესია. უცხო ენის დაუფლება სრულყოფილი გრამატიკული ცოდნის შექმნას გულისხმობს. გრამატიკის შესწავლა, როგორც წესი, წინდაწინვე ფორმალურ, უინტერესო პროცესად მიიჩნევა და თავიდანვე ნეგატიურ ასოციაციას იწვევს შემსწავლელში. მასწავლებელს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა უცხო ენის შემსწავლელი გრამატიკის წესების დაუფლებაში „აიყოლოს“.

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილისთვის მისაღებია პედაგოგიურ-დიდაქტიკური გრამატიკა, რომელიც ითვალისწინებს უცხო ენის შემსწავლელის მოთხოვნებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს და ამის გათვალისწინებით აღწერს და ხსნის ენაში მოქმედ წესებს.

გრამატიკის წესები სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვა მოცულობითაა წარმოდგენილი, ზოგან - ვრცლად, ზოგან - უფრო მოკრძალებულად. ასევე განსხვავებულია გრამატიკული მასალის მოწოდების ფორმები. სწავლების სხვადასხვა სოციალური ფორმის მეშვეობით გრამატიკული წესის შეცნობა-ათვისება უმსუბუქებს ამოცანას ენის შემსწავლელს, როცა გრამატიკული წესების გასააზრებლად მოწოდებულ წინადადებებში

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციაც არის ჩადებული, მოტივაცია უფრო იზრდება და მოსაწყენი გრამატიკის გაკვეთილი ჭეშმარიტად საინტერესო ხდება. სწორედ ასეთ მიდგომას ეფუძნება ინტერკულტურული სწავლების მეთოდი.

1.5. გარეენობრივი ფაქტორების გავლენა უცხო ენის შესწავლისას

უცხო ენის გაკვეთილზე მიღწეული წარმატება დამოკიდებულია არა მარტო სწავლების მეთოდზე, მასწავლებელზე ან სახელმძღვანელოზე, არამედ ენის შემსწავლელის უნარებზე და მის ისეთ ინდივიდუალურ მონაცემებზე, როგორებიცაა ასაკი, სქესი, ინტელექტი, მოტივაცია, სწავლის სტილი, ზოგადი განვითარება და ა.შ. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო (დროის უკმარისობა, მრავალრიცხოვანი ჯგუფი, არასწორად დასახული სასწავლო მიზანი, მასწავლებლის არაკომპეტენტურობა და სხვ.) უცხო ენის გაკვეთილზე ხშირად ვერ ხერხდება სათანადო ყურადღების გამახვილება ინდივიდუალურ ფაქტორებზე.

კ. რიმერი (Riemer) განასხვავებს უცხო ენის შემსწავლელის ენდოგენურ და ექსოგენურ ფაქტორებს. ენდოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება შემსწავლელის ასაკი, სწავლის სტილი, მოტივაცია, ხოლო ექსოგენურ ფაქტორებს - შემსწავლელის სოციალური წარმომავლობა და გაკვეთილი. ექსოგენური ფაქტორები (მასწავლებელი, გაკვეთილი, სასწავლო მასალა და ა.შ.) ტრადიციულად უცხო ენის დიდაქტიკისა და მეთოდის საგანს წარმოადგენდა, ხოლო ენდოგენურ ფაქტორებს სხვა მომიჯნავე მეცნიერებები შეისწავლიდნენ. ბოლო ათწლეულებში მოხდა მათი ინტეგრირება ენის სწავლების კვლევაში.

1.5.1. ადამიანის ბიოლოგიური მზაობა ენის ასათვისებლად

გასული საუკუნის 70-იან წლებში დადგინდა, რომ ენის შესწავლის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „ადამიანის ტვინის სიმწიფის ხარისხი“, ხოლო გადამწყვეტ ფაზას „კრიტიკული პერიოდი“ წარმოადგენს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული კოგნიტური პარადიგმის მიხედვით, ენა წარმოადგენს ადამიანის კოგნიტური უნარის გამოხატულებას. ბუნებრივი ენა და ადამიანის კოგნიცია ორი განსაკუთრებული ფენომენია, რომლებიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შესაბამისად, ენის კვლევა (სწავლება, ათვისება, წარმოშობა და ა.შ.) კოგნიტური მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს. ს. ფელიქსი (Felix) აღნიშნავს, რომ ადამიანი რომელიმე განსაზღვრული ენის შესწავლაზე კი არაა წინასწარ დაპროგრამებული, არამედ მას ყველა ბუნებრივი ენის ერთნაირად შესწავლა შეუძლია უკიდურესად არასახარბიელო ფსიქიკურ, სოციალურ და საკომუნიკაციო პირობებშიც კი.

1.5.2. შემსწავლელის ასაკისა და კოგნიტური განვითარების გავლენა ენის ათვისების პროცესზე

სწავლების გამოცდილება და სპეციალური გამოკვლევები ადასტურებს ასაკის გავლენას ენის ათვისებაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვები უფრო სწრაფად და უკეთ სწავლობენ ენას, ვიდრე ზრდასრულები. ადამიანის განვითარების გარკვეული ეტაპის შემდეგ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები გავლენას ახდენს ტვინზე, ის კარგავს

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ელასტიურობას, ახალი ფუნქციების თავის თავზე აღების - ამ შემთხვევაში ენის შესწავლის - უნარს. ერთი მხრივ, ვ. პენფილდისა და ლ. რობერტის (Penfield /Roberts) ხოლო, მეორე მხრივ, ე. ლენებერგის (Lenneberg) მიერ გამოთქმული კრიტიკული პერიოდის ჰიპოთეზა (*Critical Period Hypothesis*) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის ათვისების კვლევისათვის (*Spracherwerbsforschung*). ამ ჰიპოთეზის მიხედვით, ადამიანი გარკვეულ ასაკამდე ადვილად გადაამუშავებს ენის შესახებ ინფორმაციას, ადვილად ეუფლება უცხო ენის სტრუქტურას.

ე. ლენებერგს (Lenneberg) მიაჩნია, რომ ბავშვები ენის შესწავლისა და ინფორმაციის დამახსოვრებისას ტვინის ორივე ნახევარსფეროს იყენებენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ენის შესწავლის ფუნქციები ტვინის ერთ-ერთ - კერძოდ, მარცხენა - ნახევარსფეროს ეკისრება. გარდატეხის პერიოდის დასრულებისას ენის ფუნქციების გადანაწილება ტვინის მარცხენა ნახევარსფეროზე დამთავრებულია. ამგვარად, მოზრდილ ადამიანს გარდატეხის ასაკის შემდეგ დაკარგული აქვს ენობრივი მექანიზმების დამუშავების ის უნარი, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა. შესაბამისად, მოზრდილის მიერ ენის შესწავლის პროცესიც რთულდება. ზრდასრულის მიერ ენის ათვისება ბავშვის მიერ დედაენის ათვისებისგან სრულიად განსხვავებული პროცესია.

ბავშვის მიერ ენის შესწავლის უპირატესობას არ განაპირობებს მხოლოდ ფიზიოლოგიური ფაქტორი. ბავშვი, რომელსაც ჯერ არ გააჩნია ანალიტიკური დამუშავების მოდელი, მშობლიურთან მიახლოებული გრამატიკული ინტუიციით ითვისებს მეორე ენას და ადვილად - უაქცენტოდ - ეუფლება მეორე ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ სისტემას, ხოლო მოზრდილებს მეორე ენის ათვისება, როგორც წესი, მრავალმხრივ ფორმალიზებულ სპეციფიკურ სასწავლო გარემოში უწევთ.

ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს მართული უცხო ენის გაკვეთილი უმაღლესი სკოლის ასაკის შემსწავლელთათვის. როგორც აღინიშნა, ასაკის მატებასთან ერთად იცვლება შემსწავლელის კოგნიტური სტრუქტურები, კომუნიკაციის სტრატეგიები, ინტერესი და მოტივაცია. ასაკის მატებასთან ერთად იცვლება მიდგომა უცხო ენისადმი, ის უფრო გააზრებული და სისტემატიზებული ხდება. შესაბამისად, უცხო ენის პედაგოგმა ასაკობრივ და სამიზნე ჯგუფზე გათვლით უნდა დაგეგმოს გაკვეთილი, თემები, მიაწოდოს მულტიმედიური მასალა, შექმნას სოციალური და სამუშაო ჯგუფები.

1.5.3. შემსწავლელის სქესის გავლენა ენის შესწავლის პროცესზე

ენის შესწავლის პროცესზე სქესის გავლენის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს. დადგენილია, რომ გოგონები უფრო ადრე იწყებენ მეტყველებას, ვიდრე ბიჭები. როგორც შტერნი და შტერნი (Stern/Stern) მიუთითებენ: „გოგონების უფრო სწრაფი ენობრივი განვითარება განპირობებულია მათი მგრძნობელობითა და აღქმის სენსიტიურობით. ისინი უფრო მეტად ექცევიან შთაბეჭდილების ქვეშ, ვიდრე ბიჭები. მათ უფრო მკაფიოდ გამოხატული იმიტაციის უნარი აქვთ, ვიდრე ბიჭებს. ისინი უფრო მალე იწყებენ კორექტულად და ადეკვატურად მეტყველებას, ვიდრე ბიჭები“.

კვლევები და პრაქტიკული გამოცდილება ენის შესწავლისას გოგონების უპირატესობას ადასტურებს, თუმცა დისკუსია ამ თემაზე კვლავ გრძელდება.

1.5.4. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა ენის მიმართ

რ. გარდნერი და ვ. ლამბერტი (Gardner/Lambert) განასხვავებენ მოტივაციის ორ სახეს: ინტეგრაციულს და ინსტრუმენტულს. ინტეგრაციულია მოტივაცია, თუ უცხო ენის შესწავლა იმ მიზნით ხდება, რომ შემსწავლელმა ამ ენის მატარებელ საზოგადოებასთან კონტაქტი შეძლოს და საკუთარი იდენტობის დაუთმობლად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინტეგრაციული მოტივაციის კერძო სახეობაა *ჯგუფთან იდენტიფიკაციის მოტივაცია*, რასთანაც საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ენის შემსწავლელი არა მარტო ჯგუფის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანას, არამედ ამ ჯგუფის წევრად გახდომას - საკუთარი თავის ამ ჯგუფთან იდენტიფიცირებას - ისახავს მიზნად. ინტეგრაციული მოტივაციის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ემოციურ ფაქტორებს.

ინსტრუმენტულია მოტივაცია, თუ ენა კონკრეტული საჭიროების გამო (პროფესიული მიზნით, უცხოური ლიტერატურის ორიგინალში წასაკითხად, ადამიანების გასაცნობად და ა.შ.) შეისწავლება. ინსტრუმენტულ მოტივაციას პრაქტიკული ღირებულება აქვს.

ამერიკასა და კანადაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოტივაცია გავლენას ახდენს შესწავლის ტემპსა და წარმატებაზე. ამასთანავე, როგორც გარდნერი, ლამბერტი და ლუკმანი მიუთითებენ, შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, თუ მოტივაციის რომელი ტიპია უფრო მნიშვნელოვანი უცხო ენის შესწავლისათვის.

მოტივაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკე მდგომი იზოლირებული ფენომენი. იგი მუდმივ კავშირშია სხვა ფაქტორებთან. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია განწყობა.

ამა თუ იმ უცხო ენის მიმართ პოზიტიურ ან ნეგატიურ განწყობას პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ენისადმი პოზიტიური განწყობა აუცილებლობით არ იწვევს ამ ენის შესწავლისა და გამოყენების მოტივაციას. ჯ. მაკნამარა (Macnamara) თვლის, რომ განწყობას მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია მეორე ენის შესწავლაზე, რადგან არსებითი მხოლოდ სოციალური ფაქტორია.

1.5.5. პიროვნული ფაქტორების გავლენა ენის ათვისების პროცესზე

პიროვნულ ფაქტორებს, რომლებიც შემსწავლელის პიროვნებას განსაზღვრავენ, ლიტერატურაში კოგნიტურ ფაქტორებსაც უწოდებენ, თუმცა ისინი კოგნიციასა და ემოციას შორის არსებულ ფაქტორებად განიხილება.

არაენობრივი ფაქტორების (მოტივაცია, ასაკი, განწყობა) გარდა, მეორე ენის ათვისებაზე გავლენას ახდენს პიროვნული ფაქტორებიც: ინტროვერტულობა, მორცხვობა, შიში, ნიჭი/მიდრეკილება, ემპათია.

ემპათია გულისხმობს სხვა ადამიანების ემოციების, აზრებისა და წარმოდგენების შეგრძნების უნარს. კვლევები ადასტურებს, რომ ემპათიური ადამიანი უფრო სწრაფად და უკეთ ითვისებს უცხო ენას, იგი გამოირჩევა უკეთესი წარმოთქმით უცხო ენაზე.

პიროვნების **ინტროვერტულობა** ენის შესწავლის შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება. ინტროვერტ ადამიანს რცხვენია მეორე ენაზე მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარება, ამის გამო მას

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

მხოლოდ მცირე რაოდენობით ახალი ენობრივი ინფორმაცია მიეწოდება. ვოდე (Wode) მიუთითებს, რომ იგი უნებლიეთ თავად იქმნის ბარიერებს და, ამგვარად, ჩამორჩება ენის ათვისებაში. მისგან განსხვავებით, ექსტრავერტი ადამიანი დაინტერესებულია გარე სამყაროსთან კომუნიკაციით და ნაკლებად ფიქრობს იმაზე, კორექტულად გამოხატავს თუ არა სათქმელს. ექსტრავერტს არ რცხვენია უცხო ენაზე ლაპარაკისას შეცდომის დაშვებისა და ამიტომ არ უჭირს კომუნიკაცია მეორე ენაზე მოსაუბრესთან.

1.5.6. აფექტური ფაქტორები

პიროვნული ფაქტორების მსგავსად, სწავლების ტემპსა და წარმატებაზე გავლენას ახდენს სწრაფად ცვალებადი ემოციებით განპირობებული აფექტური ფაქტორები: შიში, შინაგანი წინააღმდეგობა, საკუთარი თავის რწმენა და ა.შ.

შიში. ახალმა კულტურულმა და ენობრივმა სიტუაციამ მიგრანტებს შესაძლოა განუვითაროს შიში, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მეორე ენის ათვისებაზე.

პირველი ენის ათვისებისას შიში მხოლოდ აუტიზმის შემთხვევაში დასტურდება, როდესაც ბავშვი წინააღმდეგობას უწევს გარე სამყაროს და არ ლაპარაკობს. მეორე, ანუ უცხო ენის, შესწავლისას შიშს სხვა მიზეზები აქვს: დამორცხვება, ცუდი ნიშანი, შეცდომის დაშვების ალბათობა და ა.შ.

დაბრკოლება (შინაგანი წინააღმდეგობა, მოტივაციის დაკარგვა), რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შიშთან, შესწავლილ იქნა რამდენიმე მკვლევრის მიერ (გუიორა, კურანი, სავინიონი). ალკოჰოლის ზემოქმედებისა და ჰიპნოზის მდგომარეობის გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ დაბრკოლების მოხსნით ნამდვილად მიიღწევა უკეთესი გამოთქმა და უკეთესი საერთო შედეგი მეორე ენის შესწავლაში.

სამართლიანად მიუთითებს კუსი (Kuh), რომ „საკუთარი თავის რწმენა დამატებითი ფაქტორია ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობის მოტივაციისთვის“. საკუთარი თავის რწმენა, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე, შეიძლება შეირყეს ასიმილაციის მოთხოვნის ან რაიმე სახის დისკრიმინაციის შემთხვევაში.

1.6. ენის ათვისების (Spracherwerb) პროცესი

ენის ათვისების კვლევა (Spracherwerbsforschung) მოიცავს ენის ათვისების კანონზომიერებების, პირობების, ფაზებისა და შედეგების აღწერასა და ახსნას. ყურადღების ცენტრშია ენის ათვისება (*Spracherwerb*) ნებისმიერი ფორმით, სიტუაციური და კომუნიკაციური კონტექსტისგან, სასწავლო მეთოდისა თუ სწავლების სტრატეგიისგან დამოუკიდებლად.

ერთმანეთისგან განასხვავებენ პირველი ანუ მშობლიური ენის ათვისებას (*Erstspracherwerb/Mutterspracherwerb*), მეორე ენის ათვისებას (*Zweitspracherwerb*) და უცხო ენის ათვისებას (*Fremdspracherwerb*).

დედაენის ათვისება. ბავშვი ყოველგვარი მითითებისა და ახსნის გარეშე იწყებს ლაპარაკს იმ ენაზე, რომელიც მის გარემოს ეკუთვნის და რომელთანაც მას მუდმივი შეხება აქვს.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

მშობლიური, ანუ პირველი ენის (L1) ათვისებისას ბავშვს განუწყვეტლივ მიეწოდება ენობრივი ინფორმაცია. დედაენის ათვისების ინტენსიური კვლევა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო.

მშობლიური ენის შესწავლის პირველ ეტაპზე ბავშვი იღებს ენობრივ ინფორმაციას ისე, რომ თვითონ არ წარმოთქვამს სიტყვებს. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იწყებს იგი ცალკეული სიტყვებისა და ერთ-ან ორსიტყვიანი წინადადების (ფრაზების) წარმოთქმას. ბავშვი დედაენის ათვისებასთან ერთად ავითარებს თავის კოგნიტურ უნარებს. ბავშვთან ადრეულ ასაკში შეზღუდული ლექსიკით საუბრობენ, ის კი სწრაფად ითვისებს ენას და დიდ ლექსიკურ მარაგს აგროვებს. შეზღუდული ენობრივი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე სრულფასოვანი ენობრივი კომპეტენციის დაუფლების ამ ფენომენს ახსნა არ ეძებნება. ნ. ჩომსკიმ (Chomsky) ამას ინფორმაციის მიუწვდომლობის არგუმენტი უწოდა, ხოლო ენის ათვისების ამ ფენომენს - „პლატოს პრობლემა“.

მეორე ენის ათვისება (Zweitspracherwerb). მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა მეორე ენის ათვისებისადმი მიძღვნილ ინტენსიურ კვლევას. მეორე ენის (L2) ათვისებისას განასხვავებენ მართულ სწავლას (*gesteuertes Lernen*), ბუნებრივ ათვისებას (*natürlicher Erwerb*) და შერეულ ფორმას.

მართულია მეორე ენის ათვისება, თუ იგი სკოლასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სისტემურად მიმდინარეობს. სწორედ მართული სახით უცხო ენის ათვისებას ემსახურება უცხო ენის გაკვეთილი (*Fremdsprachenunterricht*).

ბუნებრივია მეორე ენის ათვისება, თუ იგი მასწავლებლის გარეშე ბუნებრივ ენობრივ გარემოში მიმდინარეობს. შემსწავლელი არასისტემური სახით, ბუნებრივი კომუნიკაციის მეშვეობით იძენს ენის კომპეტენციას. ბუნებრივად ენის შესწავლა ანალიზური, სინთეზური და შედარებითი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ასაკისა და მონაცემების შემსწავლელთან განსხვავებული სიჩქარითა და სისრულით მიმდინარეობს.

1.6.1. მშობლიური და უცხო ენის ათვისების მსგავსება-განსხვავებანი

დედაენის ათვისებისას ვლინდება გარკვეული კანონზომიერებები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია გარკვეულ ფაზებზე დაკვირვება. თითოეულ ინდივიდთან ენის ათვისების პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს.

მეორე ენის, ანუ უცხო ენის, შემსწავლელი ძირითადად პირველი ენის შემსწავლელზე უფროსია ასაკით, წინ უსწრებს მას თავისი კოგნიტური განვითარებით და უკვე ფლობს დედაენას, ანუ აქვს ენის სწავლის გამოცდილება. ეს ყველაფერი შესაძლოა ენის სწავლების პროცესში როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი აღმოჩნდეს.

მეორე ენის შემსწავლელნი ხშირად ეყრდნობიან წინარე ცოდნას, უკვე ნაცნობი პირველი ენის სტრუქტურებსა და მექანიზმებში ეძებენ ახალი ენის მსგავს კონსტრუქციებს.

ენათა შორის კავშირს, პირველი ენის მეორე, უცხო ენაზე გავლენას ე.წ. ენათა ტრანსფერი ჰქვია. განასხვავებენ ტრანსფერის ორ სახეს: პოზიტიურ ტრანსფერს და ნეგატიურ ტრანსფერს, ანუ ინტერფერენციას. თვით ცნება პოზიტიური ტრანსფერი მიგვანიშნებს, რომ

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

პირველი ენის სტრუქტურები და მექანიზმები გამოიყენება მეორე ენაში და ეს ადეკვატური და მიზანშეწონილია.

ხოლო ნეგატიური ტრანსფერი, ე.წ. ინტერფერენცია, გულისხმობს პირველი ენის ენობრივი სტრუქტურებისა და წესების გამოყენებას მეორე ენის მიმართ, ეს კი არაადეკვატური და ხელისშემშლელია. ს. ფელიქს (Felix) მიაჩნია, რომ ინტერფერენციები ენის შესწავლის პროცესის მახასიათებელია და ისინი განხილული უნდა იყოს არა იზოლირებულად, არამედ შეცდომის ტიპების და ენის ათვისების კანონზომიერების კონტექსტში.

ამოსავალი დედაენა სხვადასხვა კვლევის მიხედვით, დიდ გავლენას ახდენს შემსწავლელის სწავლების თანმიმდევრობასა და შედეგზე.

II. თავი - ინტერკულტურული მეთოდი

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პიროვნული კონტაქტების ფონზე დაწინაურდა უცხო ენის სწავლების ინტერკულტურული მეთოდი. ამ მეთოდის უმთავრესი მახასიათებელია ენის სწავლებისას ორიენტაციის აღება უპირველესად ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე.

2.1. ინტერკულტურული კონცეფცია - ინტერაქცია კულტურებს შორის

ინტერკულტურულობის ცნება უკავშირდება თეორიულ კონცეფციას, რომელიც ემყარება დინამიკურ ინტერაქციას კულტურებს შორის მათი ურთიერთგანსხვავებულობის აღიარების ფონზე, რაც საწინდარია წარმატებული კომუნიკაციისა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ენაში აირეკლება ერის კულტურული ღირებულებები. მან, როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის უმთავრესმა კომპონენტმა, შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდთა, ისე ერთა დაახლოებას ან, პირიქით, შეიძლება ის გახდეს საბაზი გაუგებრობისა თუ კონფლიქტისა. უცხო ენის სწავლება გულისხმობს არა მარტო გრამატიკისა და ლექსიკის, არამედ, უპირველესად, უცხო რეალობის კულტურულ ფასეულობათა ახსნასა და სწავლებას. კომუნიკაციისას არასწორმა ინტერპრეტაციამ შეიძლება სოციალურ კონფლიქტამდე მიიყვანოს კომუნიკაციის მონაწილენი.

ორი კულტურის პარალელური არსებობა არ გულისხმობს მათ შორის გაგებინების ავტომატურად მიღწევას. საჭიროა ერთმანეთისთვის ღირებულებების ისეთი სახით გადაცემა, რომ უცხო მისაღები გახდეს, თუმცა, არა საკუთარის უარყოფის ხარჯზე. ხშირად ამ მიმართებას *მესამე ადგილს (Dritter Ort)* ან *შუალედურ სამყაროსაც* უწოდებენ, რაც გულისხმობს პერსპექტივის ცვლას, კერძოდ, *პერსპექტივის გაფართოებას*, რომელშიც საკუთარი და უცხო თანაარსებობს და ერთად ფუნქციონირებს.

ინტერკულტურული მეთოდით ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა, რაც მრავალსაფეხურიანი პროცესია. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, რომლის დროსაც შემოქმედებითი ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

2.2. გერმანელი ლინგვოდიდაქტიკოსების ინტერკულტურული სწავლების კონცეფცია

უცხო ენის ინტერკულტურული სწავლებისას უმთავრესი მიზანი - ინტერკულტურული და მულტიკულტურული კონტექსტების გაგება უცხო/ახლის აღქმისა და გაგების გზით სათავეს იღებს გისენის სკოლის ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომების კრებულიდან “Fremdverstehensdidaktik” (*უცხო გაგების დიდაქტიკა*). ამ სკოლამ, შეიძლება ითქვას, ახალი შტრიხები შესძინა ენის ინტერკულტურული სწავლების მეთოდის ჩამოყალიბებას.

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით უცხო გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ძირითადი იდეა აღქმისა და შეცნობის პროცესისა არის მზაობა, შეიცვალო პოზიცია როგორც საკუთართან, ისე უცხოთან დაკავშირებული მყარი შეხედულებების მიმართ.

განასხვავებენ ორგვარ - *შიდა* და *გარე* - პერსპექტივას. *შიდა პერსპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის “შიგნიდან” გაგებას/შემეცნებას ისე, რომ უცხო კულტურა სწორედ ამ უცხო კულტურის წარმომადგენლების თვალთ დავინახოთ, ხოლო *გარე პერსპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის საკუთარი თვალთ დანახვას. გისენის სკოლის წარმომადგენლის, ბრედელას (Bredella) აზრით პერსპექტივების ცვლილება და დისტანცირება საკუთარისგან ახალანსებს უცხო გაგების პროცესს.

2.3. ენა და კულტურა

ყოველი ენა საზოგადოების კულტურული განვითარების შედეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ ენა თავის თავში ამ საზოგადოების კულტურასა და ღირებულებებს ატარებს. ყოველი უცხო ენის შესწავლა უცხო კულტურასთან კონტაქტსა და კომუნიკაციას გულისხმობს.

2.4. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდური პრინციპები

უცხო ენის შესწავლა არ გულისხმობს მყისიერად ინტერკულტურული კომპეტენციის შექმნას, იგი ნელ-ნელა უნდა ჩამოუყალიბდეს ენის შემსწავლელს. დიდი როლი ეკისრება უცხო ენის მასწავლებელს, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს უცხო ენისა და კულტურისადმი ინტერესი, მისი შესწავლის სურვილის გაღვივება. ულრიკე რეეგის მიხედვით, უცხო ენის გაკვეთილზე ინტერკულტურული სწავლებისას შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი: მოტივაცია (როგორც მასწავლებლის, ასევე შემსწავლელის მხრიდან), სწორი ორიენტაცია (მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეული თემა და კითხვები), კრეატიულობა (შემსწავლელის მიერ სიტუაციის წარმოსახვა), ადეკვატური ქმედება (როლური თამაშები, დიალოგები, ტექსტის ანალიზი, პროექტზე მუშაობა და ა.შ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილის ძირითადი სიმძიმე ქვეყანათმცოდნეობით თემებზე, შინაარსსა და ლექსიკაზე მოდის, ხოლო გრამატიკის სწავლება ამ მეთოდის მიხედვით არ არის წინა პლანზე წამოწეული. უცხო ენის გაკვეთილის თემატიკის დაგეგმვა შესაძლებელია მასწავლებლის მიერ ენის შემსწავლელთან კონსულტაციითაც. იმის გათვალისწინებით, რომ სამიზნე ჯგუფის ინტერესები განსხვავდება და იცვლება დროთა განმავლობაში, სასურველი და მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელი იმ

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

თემატიკაზე იყოს ორიენტირებული, რომელიც გარკვეული ასაკისა და სწავლების საფეხურისთვის უნივერსალურია და რომლის აქტუალურობას გამოცდილებაც ადასტურებს.

2.5. ინტერკულტურული სწავლება და ინტერკულტურული კომუნიკაციის თანამედროვე გამოწვევები

ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიასთან, ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიასთან. უცხო ენის სწავლებასთან მიმართებით იგი, ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა, ასევე გულისხმობს ქცევისა და კომუნიკაციის იმ დაუწერელი წესების ფაქტობრივ ცოდნას, რომლებიც ამა თუ იმ სამიზნე ენის კულტურას აქვს. სწორედ ინტერკულტურული კომპეტენციის საშუალებით არის შესაძლებელი ინტერკულტურული გაუგებრობებისა და გაურკვევლობების თავიდან აცილება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის უპრობლემო საკომუნიკაციო გარემოს შექმნა. ინტერკულტურული სწავლება ისწრაფვის გაუცნობიერებელი ინტერკულტურული კომპეტენცია გარდაქმნას გაცნობიერებულ ინტერკულტურულ კომპეტენციად. უცხო ენის გაკვეთილისთვის ეს ნიშნავს როგორც კოგნიტურ, ასევე ქცევაზე ორიენტირებულ სწავლებას.

2.6. ქვეყანათმცოდნეობის როლი უცხო ენის შესწავლისას და მისი სწავლების ფორმები

სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება უცხო ენის სწავლების მეთოდების ცვლილებასაც იწვევს. შესაბამისად, ქვეყანათმცოდნეობის როლი სხვადასხვა ეპოქაში უცხო ენის სწავლების მეთოდთან ერთად იცვლება.

გერმანულენოვან სამყაროში განვითარებულმა ისტორიული ხასიათის ცვლილებებმა შეცვალა მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის ასპექტის სწავლებისადმი და ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, თანამედროვე მიდგომა, რომელიც D-A-CH-L -კონცეპტის სახელითაა ცნობილი. იგი ფარავს მთლიანად გერმანულენოვან ქვეყნებს (გერმანიას, ავსტრიას, შვეიცარიასა და ლიხტენშტაინს) და ითვალისწინებს მათი კულტურისა და საზოგადოების გაცნობას ენის შემსწავლელისათვის. ამ კონცეპტის მეშვეობით ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ახალ მნიშვნელობას იძენს. უკვე თავად შემსწავლელი ცდილობს ქვეყანათმცოდნეობის თემატიკაში გარკვევას საკუთარი ინტერესების მიხედვით და ქცევაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენებით. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას - უცხო და საკუთარის გაგებას განსხვავებული პერსპექტივა შეიძინა. ინტერკულტურული კომპეტენცია, ქვეყანათმცოდნეობისა და ენის კომპეტენციის გარდა, ქცევისა და კომუნიკაციის იმ დაუწერელი წესების ფაქტობრივ ცოდნასაც გულისხმობს, რომლებიც სამიზნე ენის კულტურაში მოქმედებს. ქვეყანათმცოდნეობის ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხო ენის გაკვეთილთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, ქვეყანათმცოდნეობა ცალკე საგნად არ ისწავლება.

2.7. სტერეოტიპები ინტერკულტურული კომუნიკაციის კონტექსტში

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ინტერკულტურული სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე გულისხმობს ასევე უცხო ენის და კულტურის სტერეოტიპებისა და კლიშეების გაცნობასა და გააზრებას. სტერეოტიპების აღწერისა და დახასიათების მრავალი მცდელობა არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად ეს ტერმინი გამოხატავს წინასწარ შეხედულებას, განწყობას, დამოკიდებულებას.

სტერეოტიპები ძალიან ცვალებადია და ხშირად დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელიც ქვეყანაში არსებობს. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, ისინი როგორც პოლიტიკური პროპაგანდის, ასევე თავდაცვის ელემენტად გამოდგეს. მენტალურ სტერეოტიპებს თავიანთი გამოხატულება აქვთ ენაში და მათ ხშირად კულტურულ სტერეოტიპებს უწოდებენ. უცხო ენის შემსწავლელმა უნდა მოახერხოს კულტურული სტერეოტიპების ქვეტექსტების შეფასება და გააზრება, ამისათვის კი შესაბამისი შემზადებაა საჭირო, რომელიც უცხო ენის გაკვეთილის პრეროგატივად რჩება.

2.8. დიდაქტიკური მიდგომა სტერეოტიპებისადმი უცხო ენის გაკვეთილზე

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას უცხო ენის გაკვეთილზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია სტერეოტიპების გათვალისწინებაც. ერთი მხრივ, სტერეოტიპების გამოყენებამ და გააზრებამ უნდა მოახდინოს საკუთარისა და უცხო კრიტიკული რეფლექცია, რისი მეშვეობითაც უნდა მოხდეს უარყოფითი, მოძველებული, დრომოჭმული სტერეოტიპების აღმოფხვრა. ხოლო, მეორე მხრივ, ხელი უნდა შევუშალოთ ახალი უარყოფითი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

ადამიანთა ურთიერთობებს, რიტუალებს, სამყაროს აღქმას და ა.შ. სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული გამოხატულება აქვს. ინტერკულტურული კომპეტენციის კონცეპტი იმაში მდგომარეობს, რომ უცხო კულტურის წარმომადგენლები ამ ცვლილებებისთვის მოამზადოს, შექმნას უპრობლემო კომუნიკაციის საშუალება, განსხვავებების მიუხედავად, დიდი ტაქტიკა და მოთმინებით ისინი კეთილად განაწყოს უცხო სადმი.

სტერეოტიპები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ემოციური შეფერილობის სურათებია. ისინი ითვლებიან სამყაროს აღქმის ერთგვარ ორიენტირად და ინსტრუმენტად, რომლის გარეშეც ურთიერთობა გარე სამყაროსთან წარმოუდგენელი იქნებოდა. მათი სწორი და მართებული აღქმა მოითხოვს იმ კულტურული ფასეულობების ცოდნას, რომლებიც შესაბამის ენას გააჩნია. ამ შემთხვევაში გამოწვევის წინაშე დგება უცხო ენის შესწავლის დიდაქტიკა, რომელიც ინტერკულტურულ კომპეტენციაზე დაყრდნობით ცდილობს შეიმუშაოს სტერეოტიპების სწორი მიწოდების პრინციპები. რადგან ეს სფერო არ არის საკმარისად შესწავლილი, იგი მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

2.9. ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი გერმანულის სახელმძღვანელოები

80-იანი წლებიდან სხვადასხვა დონისა და ქვეყნებისთვის იქმნებოდა ინტერკულტურულ მეთოდზე აგებული გერმანულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოები: „*Sprachbrücke*“, „*Lilaland*“, „*Typisch Deutsch*“, „*Für- und Widersprüche*“, „*Spielarten*“, „*Kurz und gut!*“, „*Neue Adresse*“,

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

„Gute Idee!“, „Einfach weiter“, „Noch weiter“, „Lust auf Deutsch“ და „Deutsch Optimal“, „Sichtwechsel“, „Passwort“, „Studio Deutsch“, „Lagune“. „em“. მათი ძირითადი კონცეპტი აგებულია სხვადასხვა კულტურული ღირებულების გათვალისწინებით. მათი კულტურულ-კონტრასტული მიდგომიდან გამომდინარე, ეს სახელმძღვანელოები შეიცავს ისეთ ინტერკულტურულ თემებს, როგორებიცაა: სტერეოტიპები, ორი კულტურის თავისებურებანი, მრავალენიანობა, სამშობლო და უცხოეთი, საკუთარის და უცხოს აღქმა, მულტიკულტურული საზოგადოება და სხვ. სამიზნე ენის კულტურული ღირებულებების, ფაქტების, ქცევების დანახვა ხდება უცხოს პერსპექტივიდან.

2.10. გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლება ქართულ უმაღლეს სკოლაში

ქართული გერმანისტიკა დიდი ხნის განმავლობაში გერმანიაში არსებულ სწავლების მეთოდთა საქართველოში გადმოტანასა და პრაქტიკაში დანერგვას წარმატებულად ახორციელებდა. ამას ჩვენში დასტამბული სოლიდური გრამატიკული ლიტერატურაც მოწმობს. თუმცა, დასაინანია, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ინტერკულტურული რეგიონალური სახელმძღვანელოების შექმნა ვერც ლექსიკაში და ვერც ქვეყანათმცოდნეობაში, რომლებიც გაითვალისწინებდნენ ქართველ ენის შემსწავლელთა მენტალობას, მათ სააზროვნო წყობას და, რაც მთავარია, იმავდროულად დაიცავდნენ მასალის მიწოდებისას სირთულის პროგრესირების პრინციპს ზოგადევროპული ჩარჩოს შესაბამისად. პედაგოგთა უმრავლესობა სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას გერმანულენოვან ქვეყნებში და ეცნობა ინტერკულტურულ მეთოდს, ცდილობს მის პრაქტიკაში რეალიზებას. თუმცა გასათვალისწინებელია რეალური ვითარება: ჯერაც არ არის შექმნილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ინტერნეტ-სწავლებისთვის, კურიკულუმი არ სთავაზობს სტუდენტს ინტერკულტურული მეთოდით ნავარაუდევ აუცილებელ დისციპლინებს, საგრძნობლად რედუცირებულია საათების რაოდენობა. ყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში შეინიშნება ინტერკულტურულ სფეროში წარმოებულ სოლიდურ კვლევათა არარსებობა.

III. თავი - ირეალისი და მისი გამოხატულება გერმანულ და ქართულ ენებში

3.1. ირეალისის ცნება ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომებში

ირეალისი, როგორც გრამატიკული კატეგორია, მოდალობის ერთ-ერთი ფორმის, კავშირებითი კილოს კონიუნქტივ II-ის ფორმითაა წარმოდგენილი გერმანულ ენაში და ზმნის გრამატიკულ სისტემაში გამორჩეული ადგილი უკავია. კონიუნქტივ II ითვლება არარეალურის გამოხატველად, ამიტომ ეწოდება მას ირეალისი. არარეალურის საპირისპიროდ, რეალური სამყაროს გადმოსაცემად გამოიყენება თხრობითი კილო/ინდიკატივი, უფრო სწორად, იგი გამოხატავს მოსაუბრის მიერ წარმოჩენილ რეალობას, ხოლო კონიუნქტივი, პირიქით, არარეალურს/წარმოსახვითს.

ირეალისი ითვლება აღწერის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულად განსახილველ ფენომენად. არ არსებობს ირეალისის ცნების ერთგვაროვანი განმარტება და არც

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ყველა ენაში გვხვდება მსგავსი სტრუქტურა. ირეალისის ცნება, როგორც არარეალურის, წარმოსახვითის, ჰიპოთეტურის მახასიათებლის, არ არის ახალი ცნება ლინგვისტიკისთვის.

ირეალისის კვლევის საინტერესო ნიმუშებს ვხვდებით ამერიკელი ინდიელებისა და ავსტრონეზიული ენების აღწერისას, სადაც ირეალისის ცნებას რეალურის საპირისპიროდ გამოიყენებდნენ. ირეალისი ამ ენებში საკმაოდ ადრე იქცა შესწავლის საგნად ლინგვისტიკისთვის. მრავალწლიანმა კვლევითმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ირეალისის ფენომენი არსებობს. ირეალისი განიხილება, როგორც განსაკუთრებული გრამატიკული კატეგორია, რომელსაც ფორმალური გამოხატულება გააჩნია მრავალი ენის ზმნების სისტემებში.

ირეალისის კვლევა დღემდე გრძელდება და ლინგვისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. ირეალისის შესახებ არსებულ გამოკვლევებში იკვეთება ორი ძირითადი პოზიცია, ერთი მხრივ, ირეალისი გამოხატავს გრამატიკულ ფენომენს, რომლითაც კილო და მოდალობა ერთმანეთთან კავშირში განიხილება და კილო მოდალობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, ირეალისის ცნება დაკავშირებულია ისეთ სემანტიკურ კომპონენტთან, როგორიცაა არამიკუთვნებულობა რეალურ სამყაროსთან. მოდალობა კი განიხილება, როგორც სემანტიკური ზონა, რომელიც გამოხატავს შესაძლებლობას, აუცილებლობას, სურვილს და ა.შ.

3.1.2. მოდალობა და მისი გამომხატველი ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში

ირეალისის, როგორც მოდალობის გამომხატველის, უკეთ დასახასიათებლად, სასურველია გავეცნოთ მოდალობას გერმანულ ენაში. მოდალობა ერთ-ერთი რთული გრამატიკული ფენომენია, რომელსაც სხვადასხვა ენაში განსხვავებული გამოხატვის საშუალებები ვ. აიჰლერის და ბიუნთინგის (Eichler/Bünting) მიხედვით, მოდალობა მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას და შეფასებას ნათქვამის რეალურობის, არარეალურობის, სასურველობის, შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ. მოდალობის გამოხატვა ენაში სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი: ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. მოდალობის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს კილო. კილოსა და მოდალობას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კილო მორფოლოგიური კატეგორიაა, მოდალობა კი სემანტიკური კატეგორიაა და მოიცავს გამოხატვის სხვადასხვა საშუალებას.

გერმანულ ენაში განასხვავებენ მოდალობის გამოხატვის შემდეგ საშუალებებს: ლექსიკურ-გრამატიკული - მოდალური ზმნები, ლექსიკური - წინადადების ზმნიზედები/მოდალური სიტყვები, შეფერილობითი ნაწილაკები/მოდალური ნაწილაკები, მოდალური სემანტიკის მყარი შესიტყვებანი, გრამატიკული - მოდალური შეფერილობის სინტაქსური კონსტრუქციები და ლექსიკურ-პრაგმატული საშუალებები, როგორებიცაა: კილოს კატეგორია და მისი გამოხატულება würde+Infinitiv-ის ფორმებით.

არარეალური, წარმოსახვითი, ჰიპოთეტური ვითარების გამოსახატავად გერმანულში გამოიყენება კავშირებითი კილო, ანუ კონიუნქტივი. კონიუნქტივის შინაარსი და ფუნქცია საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ კონიუნქტივი II და მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, არარეალურის გამოხატვის შესაძლებლობა.

3.1.3. კონიუნქტივის მნიშვნელობა და ფუნქცია

კონიუნქტივი თავისი მრავალფეროვანი მნიშვნელობით განსხვავდება თხრობითი კილოს/ინდიკატივისაგან, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კი ისინი გამოხატავენ მსგავსებას მნიშვნელობის თვალსაზრისით. კავშირებითი კილოთი (*Konjunktiv*), არარეალურის გარდა, გამოხატება ბევრი სხვა მნიშვნელობაც. დედაენის მატარებლისთვის ამის გარჩევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა უცხო ენის შემსწავლელისთვის ენობრივ ნიუანსებსა და დეტალებში გარკვევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ირეალობის გამოხატვის საშუალებად გერმანულ ენაში კონიუნქტივის ფორმები გამოიყენება, თუმცა ისინი ამავდროულად ირეალობისგან განსხვავებული ფუნქციების გამომხატველნიც არიან. სწორედ ამიტომ საჭიროა გამონათქვამის სწორი კონტექსტუალური აღქმა და საჭირო ფორმის მონახვა.

3.1.4. კონიუნქტივის პარადიგმა გერმანულ ენაში - *Konjunktiv I*-ის და *Konjunktiv II*-ის წრეები

კონიუნქტივის ფორმების წარმოება გერმანულში ანალიტიკური და სინთეზური გზით ხორციელდება. გერმანულ ენაში კავშირებითი კილოს *Konjunktiv I*-ისა და *Konjunktiv II*-ის წრეები თავისი მნიშვნელობით და ფუნქციით ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაშინ, როდესაც *Konjunktiv I*-ი ირიბი თქმისთვის გამოიყენება, *Konjunktiv II* -ის ფუნქცია ძირითადად არარეალურის/პოტენციალობის გამოხატვაა.

გერმანულ ენაში არსებულ კონიუნქტივს თხრობითი კილოს მსგავსად გააჩნია ექვსი გრამატიკული დროის ფორმა და დამატებითი კონდიციონალისი (*würde*+ *Infinitiv I/II*). ეს დროის ფორმები გადანაწილებულია კონიუნქტივ I-ისა და კონიუნქტივ II-ის წრეებს შორის.

კონიუნქტივის ფორმების წარმოების შესახებ იეგერი წერს, რომ, ერთი შეხედვით, სრული უწესრიგობა ჩანს, ძლიერი უღლების ზმნები სუსტი ზმნებისგან განსხვავებულად იქცევიან, დამხმარე და მოდალურ ზმნებთან კი სრული ქაოსი სუფევს. იგი აღნიშნავს, რომ ფორმების ასეთი მრავალფეროვნებისას არაა გასაკვირი, რომ, ერთი შეხედვით, არასისტემურობის შთაბეჭდილება რჩება, თუმცა შესაბამისი წესებისა და რეგულაციების გათვალისწინების შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილას დგება, აღარ ხდება მათი აღრევა თხრობითი კილოს/ინდიკატივის ფორმებთან და სუსტი და ძლიერი ზმნების ფორმების წარმოებაც ადვილად აღსაქმელია.

მიუხედავად კონიუნქტივის ფორმების მრავალფეროვნებისა, გარკვეულ სიტუაციებში მათ სჭირდებათ დამატებითი კონსტრუქციების გამოყენება. **würde + Infinitiv ფორმას** შეუძლია ჩაანაცვლოს კონიუნქტივის ფორმები. მათ ხშირად კონდიციონალისს უწოდებენ. პრაქტიკაში *würde* კონსტრუქციებს უმეტესად ვხვდებით, როგორც კონიუნქტივ I და II-ის მონათესავე და ალტერნატიულ ფორმას, როდესაც ხდება კონიუნქტივის და თხრობითი კილოს (*Indikativ*) ფორმების დამთხვევა ან მოძველებული, არქაული კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმების ჩანაცვლება.

ეს კონსტრუქცია, როგორც ირეალისის გამოხატვის საშუალება, დროსთან მიმართებით ნეიტრალურია და კონტექსტის შესაბამისად გვხვდება აწმყოს ან მომავლის მნიშვნელობით.

3.1.5. დროის ფორმების ურთიერთმიმართება გერმანული ენის ინდიკატივსა და კონიუნქტივში

დროისა და მოდალობის ფორმების ურთიერთმიმართებისა და ფუნქციების უკეთ გაგებისათვის საჭიროა თითოეული კატეგორიის სიღრმისეული განხილვა.

გერმანულში თხრობითი და კავშირებითი კილოს დროის ფორმების აღწერისას თვალსაჩინოა შემდეგი გარემოება: ინდიკატივის (თხრობითი კილოს) დროის გრამატიკული ფორმები ემთხვევა შესაბამისი დროის ფორმებს, ხოლო კონიუნქტივში (კავშირებით კილოში) გერმანულ ენაში არსებული დროის ფორმები და ფუნქციები გადანაწილებულია კონიუნქტივის პარადიგმაში - კონიუნქტივ I-სა და კონიუნქტივ II-ს შორის.

კონიუნქტივის ორივე ფორმას გააჩნია ყველა გრამატიკული დრო (აწმყო, წარსული, მომავალი). კონიუნქტივის ფორმები ხშირად დროით სინონიმურ შესატყვისებს ქმნიან, თუმცა გამოყენებისა და ფუნქციის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულნი არიან ინდიკატივის პარადიგმისგან.

3.1.6. კონიუნქტივის (Konjunktiv) II-ის, როგორც ირეალისის გამომხატველის, გამოყენების ნორმები და ფუნქციები გერმანულ ენაში

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ გერმანულ ენაში ზმნა კავშირებით კილოში სრულად აწარმოებს უღლების პარადიგმას, თუმცა სუსტად გამოხატული ფლექსიის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება კავშირებითი (*Konjunktiv*) და თხრობითი (*Indikativ*) კოლოების გამიჯვნა ერთმანეთისგან და ამ შემთხვევაში გამოიყენება დამხმარე კონსტრუქციები (*würde* კონსტრუქციები).

კონიუნქტივ II-ი წარსულთან მიმართებით ა) წინადადებაში შესაძლებელია აღქმულ იქნას, როგორც ირეალობის გამომხატველი (*Irrealis*), ხოლო კონიუნქტივ II მომავალთან მიმართებით ბ) წინადადებაში გამოხატავს პოტენციალურ შესაძლებლობას (*Potenzialität*).

არარეალურის/ვიპოთეტურის გამოხატვის ფუნქციით კონიუნქტივ II-ს ვხვდებით არარეალური პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, არარეალურ ნატვრით წინადადებაში, არარეალური შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, ირეალური დათმობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, არარეალური შედეგის გარემოებათა დამოკიდებულ წინადადებაში, ასევე არარეალური პირობის/სურვილის/სინანულის/მითითების გამომხატველ კონსტრუქციებსა თუ ენობრივ ფორმულებში.

3.2. ქართული და გერმანული ენების შეპირისპირება ირეალისის გამოხატვისას და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებანი

გერმანულ ენაში ირეალისის გამომხატველი ფორმების შესწავლის პარალელურად მიზანშეწონილია ქართულ ენაში შესაბამისი სტრუქტურის ან შესატყვისების არსებობის განხილვა.

ქართულ ენაში არ არსებობს ირეალისის კატეგორია. ირეალისის ფორმები გაბნეულია ქართული ზმნის სხვადასხვა მწკრივში. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ირეალისის გამომხატველი სტრუქტურების მოძიება და აღქმა, საჭიროა გაანალიზდეს ქართული ზმნის სისტემა და მისი მიმართება ირეალისის გამომხატველ გერმანულ გრამატიკულ სტრუქტურებთან.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ქართული აგლუტინაციური ენაა, რომელსაც საკმაოდ რთული ზმნის სისტემა აქვს. გერმანული ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიების (დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა) გარდა, ქართულ ზმნას გააჩნია ისეთი გრამატიკული გამოხატულების ფორმები, როგორებიცაა: დესტინაციური რელაცია, ანუ ვერსია (კუთვნილებითი ხასიათის *კუკუთებ, მიკუთებ*), ლოკატიური რელაცია (*ახატავს, აწერს*), კაუზატიური რელაცია (*აკუთებინებს*) და ა.შ.

ზმნა ფორმაცვალებადი, უღლებადი სიტყვაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იცვლება მწკრივების მიხედვით. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში 3 სერია და 11 მწკრივია გამოყოფილი. ქართულში არ არსებობს გერმანულის მსგავსი ირეალისის კატეგორია, თუმცა ის ფორმები, რომლებიც არსებობს და რომელთა გაანალიზებაცაა შესაძლებელი, მოგვცემს გარკვეულ წარმოდგენას ამ მიმართულებით.

პირველ სერიაში გამოირჩევა აწმყოს და მომავლის წრეები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა განსხვავებულ ფორმებად. პირველი სერიის მყოფადის წრეში ვხვდებით ხოლმეობით-შედეგობითის (Konditional) ფორმას, რომელიც გერმანულში არსებულ აწმყოს კონდიციონალს (*Konditional Präsens -ich würde schreiben*) და ასევე წარსულის კონდიციონალს (*Konditional Perfekt - würde geschrieben haben*) შეესატყვისება. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში მხოლოდ ამ ერთი ფორმით (ხოლმეობით-შედეგობითით) გამოიხატება გერმანულში არსებული კონდიციონალის აწმყოს და წარსულის ფორმები.

პირველ სერიაში არსებული კავშირებითის ფორმები პირველ კონიუნქტივად განიხილება, რომელსაც ორი ფორმა აქვს: აწმყოს კონიუნქტივი და მყოფადის კონიუნქტივი, რომლებიც ერთმანეთისგან ასპექტით განსხვავდება.

გერმანულში არსებული ირეალისის შესატყვისი ქართულ ენაში აწმყოს კავშირებითია (Konjunktiv Präsens). იგი გამოიყენება არარეალური, შეუძლებელი მოქმედების გამოსახატავად შემდეგი სახის წინადადებებში:

ა) არარეალურ/ირეალურ ნატვრით წინადადებებში, როდესაც ნამდვილი მოქმედება კი არ არის აღწერილი, არამედ სასურველი და არარეალური:

ნეტავი მალე ამთავრებდეს საუბარს! Wenn er doch bald mit der Rede fertig wäre!

ბ) არარეალურ მიმართებებსა და შედარებით წინადადებებში:

ის ისე იქცევა, თითქოსდა მილიონერი ყოფილიყოს. Er tut so, als ob er Millionär wäre.

გ) არარეალური პირობის გამომხატველ წინადადებებში:

ბიჭი რომ შემძენოდა, ძალიან ლამაზი სახელი მექნებოდა მოფიქრებული. Wenn es ein Junge wäre, so wüßte ich einen sehr hübschen Namen.

ქართულ ენაში არარეალურ პირობით წინადადებებში ხოლმეობით-შედეგობითის (Konditional) და აწმყოს კავშირებითის (Konjunktiv Präsens) გამოყენება შემდეგ წესს ემორჩილება: მთავარ წინადადებაში ზმნა დგას ხოლმეობით-შედეგობითში (Konditional), ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში - აწმყოს კავშირებითში (Konjunktiv Präsens).

ქართული და გერმანული ზმნური სისტემებისა და ირეალისის გამომხატველ ფორმათა თავისებურებანი მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ, რაც გერმანულ ენაში ირეალისის ფორმის Konjunktiv II-ის მეშვეობით გამოიხატება, ქართულში თავმოყრილია ზმნის პირველ სერიაში.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ქართულ ენაში **ზმნის მეორე სერია** მოიცავს ორ მწკრივს: წყვეტილსა/აორისტსა და II კავშირებითს. წყვეტილი გამოხატავს წარსული დროის ფორმას, წარსულში დასრულებულ მოქმედებას (გერმანულ ენაში მას Perfekt-ის ფორმა შეესატყვისება).

II კავშირებითის ფორმასთან ვხვდებით ისეთივე სინტაქსურ თავისებურებას, როგორსაც წყვეტილის ფორმასთან. კერძოდ, გრამატიკული სუბიექტი, ანუ ქვემდებარე, დგას მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში), ხოლო პირდაპირი დამატება - სახელობით ბრუნვაში.

ბავშვმა (Subj. Erg.) უნდა დაწეროს წერილი (Dir. Obj. Nom.). Es ist nötig, dass das Kind (Subj. Nom.) den Brief (Dir. Obj. Akk.) schreibe.

II კავშირებითი გამოხატავს აწმყოს/მომავალის კონიუნქტივს/კავშირებით კილოს. პირველ და მეორე კავშირებითს შორის განსხვავება ძირითადად სინტაქსური ხასიათისაა და მას ქართულში მოთხოვნის, ბრძანების, შესაძლებლობის, აუცილებლობის და სხვ. სხვა ფუნქციებიც გააჩნია.

ქართული **ზმნის მესამე სერიას**, რომელსაც პერფექტის ჯგუფს უწოდებენ, ეკუთვნის I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი.

ქართული ენის მე-3 კავშირებითი გერმანულ ენაში კონიუნქტივ პერფექტის (I კონიუნქტივ - *er habe geschrieben*) ან კონიუნქტივ პლუსქუამპერფექტის (II კონიუნქტივ - *er hätte geschrieben*) საშუალებით გადმოიცემა და შედარებით იშვიათად გამოიყენება.

ქართულში II თურმეობითის ფორმით გამოხატული ქმედება სრულად შეესაბამება გერმანულში პირობის გარემოებით დამოკიდებულ ირეალურ წინადადებას და ირეალის გამოხატავს, ანუ ისეთ ქმედებას, რომელიც ვერასოდეს შესრულდება, მისი მხოლოდ წარმოდგენა შესაძლებელი.

სხვა სახის ირეალისის გამომხატველ წინადადებებში კავშირებითის ფორმები გვხვდება ნაწილაკთან „უნდა“ ერთად (მაგ. I კავშირებითში). ნაწილაკი „უნდა“ მიუთითებს როგორც აწმყოში, ისე მომავალში პლუსქუამპერფექტთან კავშირში წარსულის მოქმედებას.

აწმყო/Gegenwart:

შენ უკეთესად უნდა საუბრობდე (I. Konj.) გერმანულად. Du solltest besser deutsch sprechen.

გერმანული ენისგან განსხვავებით, სადაც ქვემდებარე მხოლოდ სახელობით (Nominativ) ბრუნვაში დგას, ქართული ქვემდებარე **გარდამავალ ზმნასთან** ბრუნვაცვალეზადია, პირველი სერიის ფორმებთან სახელობითშია, მეორე სერიის ფორმებთან - მოთხრობითში, ხოლო მესამე სერიის ფორმებთან - მიცემითში. ცვალეზადია პირდაპირი დამატებაც: პირველ სერიაში მიცემით ბრუნვაშია, მეორე და მესამე სერიაში - სახელობითში.

ქართული ენის ეს კონსტრუქცია სრულიად განსხვავდება გერმანული ენის სისტემისაგან, სადაც ყველა გრამატიკულ კომპონენტს თავისი განსაზღვრული ადგილი და ბრუნვა გააჩნია - სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია (Nominativ), ირიბი დამატება - მიცემითში (Dativ), ხოლო პირდაპირი დამატება კი - ბრალდებითში (Akkusativ).

ქართულ ენაში **გარდაუვალ ზმნებთან** სერიების მიხედვით ქვემდებარის და დამატების ურთიერთმიმართების შემდეგი სურათი ვლინდება, ქვემდებარე გერმანული ენის მსგავსად ყოველთვის სახელობითში დგას, ხოლო ირიბი დამატება - მიცემითში.

3.2.1. ირეალისის შესაბამისობა ქართული ზმნის მწკრივის ფორმებთან

ქართული ზმნის სისტემის შედარებისას ირეალისის გამომხატველ გერმანულ გრამატიკულ სტრუქტურებთან გამოვლინდა მსგავსებები და განსხვავებები. კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდა, რომ განსხვავებული ენები ამა თუ იმ გრამატიკულ ფენომენს სხვადასხვა ფორმით და სტრუქტურით გამოხატავენ. ჩვენ მიერ განხილული გერმანული ირეალისის ფუნქციები ქართულში გაბნეულია სხვადასხვა სერიებსა და მწკრივებში. ზემოთ დაწვრილებით იქნა აღწერილი ქართული და გერმანული სტრუქტურების განსხვავება, რასაც სქემის სახით წარმოვადგენთ.

<p>აწმყოს კავშირებითი</p> <p><i>რას ვშვრებოდე?</i></p>	<p>შეესაბამება ნაწილობრივ ირეალისს.</p> <p>მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოიცემა ირეალისით, თუ აღნიშნავს ნატვრას ან პირობითობას.</p>	<p>ნეტავ ახლა ზღვის პირას ვიჯდე.</p> <p>wenn ich jetzt an der Küste sitzen würde!</p>
<p>ხოლმეობით-შედეგობითი</p> <p><i>რას ვიზამდი?</i></p>	<p>პირობით-შედეგობით დამოკიდებულებას აღნიშნავს და ყოველთვის გამოიყენება არარეალურ, პირობით წინადადებაში.</p>	<p>რომ მცოდნოდა, ავუხსნიდი.</p> <p>Wenn ich gewusst hätte, hätte es ihm erklärt.</p> <p>შენს ადგილას უკვე დავამთავრებდი/დავწერდი/დავხატავდი/An deiner Stelle würde ich es beenden/schreiben/malen!</p>
<p>მყოფადის კავშირებითი</p> <p><i>რას ვიზამდე?</i></p>	<p>მოქმედება, რომელიც შეიძლება შესრულდეს მომავალში, ნატვრის მნიშვნელობით.</p>	<p>ნეტავი ლამაზ სახლს ავაშენებდე!</p> <p>Würde ich doch ein schönes Haus bauen!</p>
<p>II კავშირებითი</p> <p><i>რა ვქნა?</i></p>	<p>შეესაბამება ირეალისს, რადგან შეიცავს ნატვრას. თუმცა I პირის ფორმა მრავლობითში და III პირის ფორმა ორივე რიცხვში, როგორც წართქმითი, ისე უკუთქმითი, გამოიყენება ბრძანების გადმოსაცემად.</p>	<p>გავაკეთო, დავწერო, ვისწავლო წერილი რომ გავგზავნო, გაგეხარდება?/Wenn ich den Brief schreiben würde, würde es dich freuen?</p>

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

		ვისწავლოთ! ისწავლოს! არ დაწეროთ! არ დაწერო!
II თურმეობითი <i>რა მექნა?</i>	აუცილებლად ითარგმნება ირეალისად, წარსულ დროსთან მიმართებით.	ნეტავ დამეწერა წერილი და გამეგზავნა. /Wenn ich doch den Brief geschrieben/geschickt hätte!
III კავშირებითი <i>რა მექნას?</i>	აუცილებლად ითარგმნება ირეალისად.	მე რომ დამეკრიფოს ყვავილები, უკეთესი იქნებოდა?/Wäre es besser, wenn ich die Blumen gepflückt hätte?

გერმანულ-ქართული მორფო-სინტაქსური თავისებურებების შედარება და ირეალისის ადგილის განსაზღვრა ქართული ენის ზმნურ სისტემაში მნიშვნელოვანია მრავალმხრივ.

IV. თავი: ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური ასპექტები ინტერკულტურულ კონტექსტში

4.1. პრაქტიკული ნაწილი

კვლევის აღწერა. ირეალისზე კვლევები გასული საუკუნის 60-80-იანი წლებიდან აქტუალური ხდება სხვადასხვა ენაში. აღსანიშნავია ვ. ფლემიგის (Flämig) შრომა „კონიუნქტივის შესახებ თანამედროვე გერმანულ ენაში“, ზ. იეგერის (Jäger) ნაშრომი „კონიუნქტივი თანამედროვე გერმანულ ენაში“, გ. კაუფმანის (Kaufmann) „კონიუნქტიური პირობის გარემოებითი დამოკიდებული სტრუქტურები/წინადადებები თანამედროვე გერმანულში“, კ.-ჰ. ბაუშის (Bausch) „მოდალობა და კონიუნქტივის გამოყენება სტანდარტულ სასაუბრო/სამეტყველო გერმანულ ენაში“, ვ. კასპერის (Kasper) „კონიუნქტივ II-ის სემანტიკა გერმანულ დეკლარატიულ წინადადებებში“ და სხვანი. ამ ნაშრომებში წარმოდგენილი იყო კონიუნქტივ II-ის ფუნქციები, ირეალისის გამოხატვის თავისებურებანი, მოდალობისა და კონიუნქტივის გამოყენების ვრცელი ანალიზი, კონიუნქტივისა და ინდიკატივის სხვადასხვა ფორმის განსხვავება, ასევე დამოკიდებულება კონიუნქტივის წარმოების სინთეტურ და ანალიზურ ფორმებს შორის, კონიუნქტივ II არარეალურ დამოკიდებულ წინადადებებთან მიმართებით, würde ფორმის განმარტება და სხვ.

ამ შრომების გარდა, კონიუნქტივის გამოყენება და ფუნქციების განსაზღვრა, ირეალობის გამოხატვის თავისებურებანი გერმანულში წარმოჩენილია გრამატიკის სახელმძღვანელოებში, რომლებიც საფუძვლად უდევს გერმანული ენის სწავლებას: კ.-ე. ზომერფელდტი/გ. შთარკე (Sommerfeldt/Starke) „შესავალი თანამედროვე გერმანული ენის გრამატიკაში“, ჰ. ვაინრიხის (Weinrich) „გერმანული ენის ტექსტის გრამატიკა“, პ. აიზენბერგი (Eisenberg) „გერმანული ენის გრამატიკის მონახაზი“, უ. ენგელის (Engel) „გერმანული გრამატიკა“, გ. ჰელბიგ/ი. ბუშა (Helbig, Buscha) „გერმანული გრამატიკა. სახელმძღვანელო უცხო ენის შემსწავლელთათვის“, გ. ციფონუნი/ლ. ჰოფმანი/ბ. შთრეკერი (Zifonun/ Hoffmann/Strecker) „გერმანული ენის გრამატიკა“,

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ლ. გოეტცე (Götze) „გერმანული ენის გრამატიკა. ენის სისტემა და ენის გამოყენება“, დუდენის (Duden) „გრამატიკა“ და სხვ.

კონიუნქტივის/კავშირებითი კილოსა და მოდალობის კვლევა ქართული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემაა. მას ეძღვნება მრავალი ნაშრომი, მათ შორის: ვ. თავაძის „კავშირებითი დროების ადგილის შესახებ თანამედროვე ქართულში“, ნ. კოტინოვის „კილოს კატეგორია ქართულში“, გ. ნინუას „კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შესახებ“, ნ. ოქროპირიძის „კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში“, ა. პაპიძის „კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“, დ. მელიქიშვილის „მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის“, ნ. კოტინოვის „კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში“ და სხვ. თუმცა ეს ნაშრომები ძირითადად გასულ საუკუნეშია შექმნილი და თანამედროვე კვლევები ამ მიმართებით ნაკლებად გვხვდება. კავშირებითი კილოსა და მოდალობის საკითხები განხილულია ქართველი გრამატიკოსების სახელმძღვანელოებში (ა. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“, ბ. ჯორბენაძის „ქართული ზმნის ფორმოზოგი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“, ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, დ. მელიქიშვილის „ქართული ზმნის უღლების სისტემა“).

4.2. სტუდენტთა გამოკითხვა

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა უადვილდებათ ან რა სირთულეებს აწყდებიან სტუდენტები ირეალისის ათვისებისას ჩვენს ჰიპოთეზასთან მიმართებით, ჩავატარეთ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სხვადასხვა უნივერსიტეტში. გამოკითხვა ტარდებოდა ჯგუფებში (სტუდენტებისთვის) და ინდივიდუალურად (მასწავლებლებისთვის). გამოკითხვაში, რომელიც ანონიმურობის პრინციპის დაცვით ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი სასწავლებლების 60-მა სტუდენტმა და 15-მა მასწავლებელმა. სტუდენტთა კითხვარი შედგება 3 კითხვისა და ტექსტის ნიმუშისგან (სწავლების სხვადასხვა საფეხურზე), რომელშიც კონიუნქტივ II-ს საშუალებით ირეალისია გამოხატული. სტუდენტები ეცნობიან ტექსტს, კონიუნქტივ II-ით გამოხატულ ირეალისის შემცველ წინადადებებს ქართულად თარგმნიან, მოწმდება მათი გერმანული ირეალისის ეკვივალენტის ქართული თარგმანი და უპასუხებენ 3 კითხვას (კითხვარში ირეალისის ცნების მაგივრად გამოყენებულია კონიუნქტივ II-ის გრამატიკული ცნება).

სტუდენტთა გამოკითხვა გვიდასტურებს ჩვენ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას, კონიუნქტივ II -ის/ირეალისის ფორმების შესწავლის სიმარტივისა და ენის შემსწავლელის მიერ მისი სწორი გამოყენების სირთულის შესახებ.

უცხო ენის თანამედროვე სწავლების დიდაქტიკა, ინტერკულტურული სწავლება სტუდენტზე ორიენტირებულია და მის მოთხოვნებსა და შეხედულებებს ითვალისწინებს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით შევეცდებით წარმოვადგინოთ ინტერკულტურული სწავლების კონკრეტული მოდელი, რომელიც შესაძლებელს გახდის ირეალისის სწავლებას ახალი, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები მიდგომით.

4.3. მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური კითხვარის მეშვეობით და გამოკითხვის შედეგები

გერმანული ენის პედაგოგებს დაეგზავნათ ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც შეიქმნა ლიტერატურის ანალიზის, მზარდი პრაქტიკული გამოცდილების, კოლეგებთან კონსულტაციის და სტუდენტების გამოკითხვისა და მათი დაკვირვების საფუძველზე.

კვლევის პროცესში შერჩეულნი იყვნენ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გერმანული ენის პედაგოგები, რომელთაც უმაღლეს სკოლაში გერმანული ენის სწავლების არანაკლებ 5 წლის გამოცდილება აქვთ.

კვლევის პროცესში ყურადღება ნაკლებად გამახვილდა რაოდენობაზე, გამოყოფილი იყო ყველაზე მთავარი კრიტიკული მომენტები, რომლებიც სწავლების პროცესში პრობლემებს უქმნით ლექტორებს, კერძოდ, როგორ ხდება უცხო ენის გრამატიკული სტრუქტურის ადეკვატური ათვისება ენის შემსწავლელის მიერ მაშინ, როცა მის მშობლიურ ენას ასეთი მსგავსი გრამატიკული სტრუქტურა არ გააჩნია.

) მასწავლებელთა ინტერვიუები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომ გერმანული ენის გრამატიკული ფენომენი ირეალისი არაა რთულად ასახსნელი, მას თავისი გამოკვეთილი სტრუქტურა და ფუნქცია გააჩნია, რომელიც ახსნისას ნათელია და წარმატებითაც ართმევენ თავს სავარჯიშოებს ენის შემსწავლელნი, მაგრამ ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნისას რეალურ სამეცხველო სიტუაციებში თავს იჩენს ის სირთულე, რომელმაც ამ თემის კვლევა გადაგვაწყვეტინა.

) გამოკითხვაში გამოვლინდა, რომ სწავლებისას სჭარბობს კომუნიკაციური მეთოდი, თუმცა ბევრი მათგანი არ ასახელებს, სწავლების რომელი მეთოდით ხელმძღვანელობს, შესაძლოა იყენებენ განსხვავებულ სწავლების მეთოდებს, სწავლების მიზნიდან და სამიზნე ჯგუფიდან გამომდინარე.

) ინტერკულტურული მიდგომით ირეალისის სწავლების გამოცდილება არც ერთ მასწავლებელს არ დაუფიქსირებია. უცხო ენის მასწავლებელი შემოქმედებითი ნატურაა და ცდილობს, უცხო ენა და კულტურა სამიზნე ჯგუფზე დაყრდნობით წარმოაჩინოს. ამიტომ ის ახალ გამოწვევებს და იდეებს სწავლების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნებისთვის მხოლოდ მიესალმება.

) გამოცდილებამ და მასწავლებელთა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კვლევის აქტუალურობა და მართებულობა - მოგვემბნა ქართულ ენაში გერმანულში ირეალისის გამომხატველი ფორმების ეკვივალენტები და გამოგვეყენებინა ეს ურთიერთმიმართება დიდაქტიკური მიზნებისთვის, კერძოდ, შექმნილიყო ინტერკულტურულ მეთოდზე დაფუძნებული გერმანული ირეალისის შესწავლისთვის გაკვეთილის ნიმუში, რომელსაც ფოკუსჯგუფში განვიხილავთ, რათა ჩვენი მოსაზრებები უფრო გავამყაროთ.

4.4. ინტერკულტურული უცხო ენის ლექციის მოდელები

4.4.1. ლექციის მოდელი I

ინტერკულტურული სწავლების დიდაქტიკის ამოსავალი პრინციპია უცხო ენის საშუალებით უცხო კულტურის შეცნობა, უცხოს გაგება და სწორად აღქმა. სწორედ ამას უნდა

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

მივალწიოთ ენის გაკვეთილზე და უცხო სოციო-კულტურული თავისებურებების გაცნობით უნდა შევისწავლოთ უცხო ენის ლექსიკურ-გრამატიკული ნიუანსები.

ქვემოთ წარმოდგენილია ინტერკულტურულ მეთოდზე დაყრდნობით ირეალისის სწავლების ნიმუში გერმანულის, როგორც უცხო ენის, ერთი გაკვეთილის მიხედვით:

ლექციის ხანგრძლივობა: 90 წუთი (2 აკადემიური საათი). **ლექციის თემა:** სამუშაო და თავისუფალი დრო. გრამატიკა: კონიუნქტივ II (ირეალისი). **სწავლების მიზანი:** თემის განხილვის შემდეგ ენის შემსწავლელმა უნდა შეძლოს გერმანიასა და საქართველოში სამუშაო და თავისუფალ დროზე საუბარი, მოახერხოს მათი შედარება და მსგავსება-განსხვავებების აღწერა, ირეალისის სწორი, კორექტული ფორმების გამოყენება სიტუაციის შესაბამისად, უცხო სოციო-კულტურულ გარემოში ორიენტაცია, ინტერკულტურული ცოდნის შექმნა გერმანული და ქართული ისტორიულ-კულტურულ-სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. **აქტივობები:** განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენება: ინდივიდუალური მუშაობა, ფრონტალური გაკვეთილი, მუშაობა წყვილებში და ჯგუფური მუშაობა. სხვადასხვა სახის დავალება განსხვავებულ სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, რომლებსაც იყენებს მასწავლებელი სამიზნე ჯგუფის ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. **რესურსები:** დაფა, ინტერნეტი, მარკერი, სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები (Arbeitsblätter). **სწავლების საფეხური:** B I.

სადისკუსიო თემად აღებულია გერმანიაში გამოცემული სახელმძღვანელოს მასალა (EM Brückenkurs. Lektion I) და ჩვენ მიერ შედგენილი დავალებები.

ლექციის დასაწყისში, აქტივაციის ფაზაში, ხდება თემისთვის მომზადება, წინარე ცოდნის გააქტიურება. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, ხდება თემატური ლექსიკის გამეორება. მასწავლებელი სხვადასხვა მეთოდით (ასოციოგრამის, გონებრივი იერიში და სხვ.) ახდენს სტუდენტების წინარე ცოდნის აქტივაციას და თემისთვის მომზადებას.

ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილისთვის დამახასიათებელ მომდევნო ფაზაში, რომელსაც დიფერენციაციის ფაზას უწოდებენ, ხდება ძირითადი ტექსტის გაცნობა, განხილვა, ლექსიკური და დამხმარე სავარჯიშოების მიწოდება. ტექსტს ახლავს სავარჯიშო წაკითხულის გასაანალიზებლად. ენის შემსწავლელს ეძლევა საშუალება შეადაროს გერმანიისა და თავის სამშობლოში არსებული სიტუაცია სამუშაოსა და თავისუფალ დროსთან მიმართების თვალსაზრისით, განიხილოს ახალი თემა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ისაუბროს ორი ქვეყნის განსხვავებულ სოციო-კულტურულ თუ სამართლებრივ-შრომით ურთიერთობებზე, შეადაროს და გააანალიზოს მსგავსება-განსხვავებები. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილისთვის დამახასიათებელი ქვეყანათმცოდნეობითი თემის მეშვეობით მოხდეს უცხო და საკუთარი კულტურის შესახებ ინფორმაციის მიღება, გაცვლა, გაანალიზება და უკვე არსებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება.

ტექსტის დამუშავების შემდეგ უცხო ენის პედაგოგი სტუდენტებს აძლევს დავალებას, გამოთქმული მოსაზრებები შეამოწმონ მცირე ჯგუფებში, ჩამოაყალიბონ საკუთარი არგუმენტაცია. ამ სავარჯიშოს მიზანია საკუთარი აზრის, მოსაზრების გამოხატვა, არგუმენტირება.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

იმავდროულად პედაგოგი ისე წარმართავს ლექციას, რომ სტუდენტებმა შეადარონ უცხო და საკუთარი. მსგავსი ინტერკულტურული შედარება ხელს უწყობს როგორც საკუთარის გააზრებას, ასევე გერმანიაში არსებული რეალობის უკეთ აღქმას და საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას.

სავარჯიშოების პროგრესით იკვეთება ლექციის გრამატიკული მიზანი, კერძოდ, კონიუნქტივ II-ის გამოხატულებების - ირეალისის სწავლება. გრამატიკის ახსნა ხდება განხილულ მასალაზე დაყრდნობით. ტექსტიდან ამოღებული წინადადებების მეშვეობით ხდება ირეალისის განსაზღვრა და შემდეგ ტექსტში ირეალობის გამომხატველი ფორმების მოძიება და ხაზგასმა. ასეთი სახის სავარჯიშოები ინდივიდუალურად და ჯგუფებში ხორციელდება.

კონიუნქტივ II-ის ფორმების გაცნობის შემდეგ ენის შემსწავლელნი ასრულებენ ახალი მასალის განსამტკიცებელ სავარჯიშოებს, სადაც ირეალისის როლი იკვეთება, როგორც ირეალური შესაძლებლობის, ირეალური სურვილების, ირეალური პირობის გარემოებითი წინადადებების, ირეალური შედარებების გამომხატველისა.

ლექციის შემდეგ ფაზაში, რომელიც შეიძლება ერთგვარი აქტივაციის ფაზად განვიხილოთ, სრულდება სხვადასხვა სახის ენობრივი და გრამატიკული სავარჯიშოები, ხდება თემის განმტკიცება, ახალი პერსპექტივის დასახვა და ნასწავლის გაანალიზება.

მასწავლებელი მასალის ახსნისას ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვისას გამოთქმულ მოსაზრებებს და ხაზს უსვამს იმ ურთიერთმიმართებას, რომელიც არსებობს ქართულ და გერმანულ ირეალისის ფორმებს შორის. სავარჯიშოების შესრულებისას სტუდენტები ცდილობენ პედაგოგის დახმარებით ქართული ეკვივალენტის მოძებნას და შესაბამის ფორმაში მის თარგმნას. უცხო ენის პედაგოგი მიუთითებს, თუ რომელი ფორმა შეესაბამება გერმანულში ირეალისის გამომხატველ კონსტრუქციას ქართულში და როგორ უნდა იქნას იგი აღქმული. იგი აძლევს სტუდენტებს წინადადებებს სათარგმნელად გერმანულიდან ქართულად და ქართულიდან გერმანულად, რათა უკეთ მოხდეს ირეალისის გამომხატველი ფორმების ქართულ-გერმანული ურთიერთმიმართების დადგენა და უცხო სტრუქტურის აღქმა ქართულენოვანი სტუდენტის მიერ.

უცხო ენის პედაგოგსა და სამიზნე ჯგუფზეა დამოკიდებული, რა ინტენსივობითა და თანმიმდევრობით იქნება გათვალისწინებული თითოეული ფაზის მოცულობა და მონაცვლეობა, სავარჯიშოების რაოდენობა, სახე და შინაარსი, მათი რაოდენობის გაზრდა და შემცირება.

პედაგოგი კიდევ დამატებით განსამტკიცებელ სავარჯიშოს სთავაზობს ირეალისის წარსული ფორმის წარმოების არარეალურ პირობის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებებში. დავალება სრულდება TPS (Think-Pair-Share) პრინციპით - ინდივიდუალური დავალება განიხილება პარტნიორულ სავარჯიშოდ და სამუშაო ჯგუფში ხდება მისი პრეზენტაცია. ასეთი სახის სავარჯიშოები ხელს უწყობს ენის შემსწავლელს სიტუაციის ადეკვატური აქტიური ენობრივი ქმედებისკენ. ენის შემსწავლელი თავს გრძნობს დამოუკიდებლად და თავისუფლად, რაც ენის გამოყენების თვალსაზრისით მის პროდუქტიულობას უწყობს ხელს.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

გრამატიკული სტრუქტურების გაცნობისა და გამოყენების შემდეგ მასალის განსამტკიცებლად მასწავლებელი იყენებს თამაშის სტრატეგიას. ენობრივი თამაში განწყობისა და მოტივაციის ამაღლებას, ენობრივი სტრუქტურების კორექტულად გამოყენებას ემსახურება.

გაკვეთილის შემდეგ საფეხურზე, რომელიც შესაძლებელია ინტეგრაციის ფაზად განვიხილოთ, ხდება ახალი თემატიკის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულება. მომდევნო სავარჯიშოში მასწავლებელი ურიგებს სტუდენტებს ტექსტებს, რომლებშიც გარკვეული სიტუაციებია აღწერილი და მათ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონ და გამოიყენონ შესწავლილი სტრუქტურები.

ძალიან მნიშვნელოვანია გერმანული ენის პედაგოგის როლი ინტერკულტურულად ორიენტირებული უცხო ენის ლექციის წარმართვისას. მას უნდა გააჩნდეს ინტერკულტურული კომპეტენცია და შეემლოს ინტერკულტურული დიალოგის წარმართვა. მან უნდა შექმნას გაკვეთილზე ის ინტერკულტურული გარემო, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ინტერკულტურულ კომპეტენციას შეიძენენ.

ინტერკულტურული გაკვეთილის მომზადებისას გავითვალისწინეთ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, კონიუნქტივ II-ის ფორმების სწორად გამოყენებისთვის შესაფერისი სავარჯიშოების მომზადება, სტუდენტთა ჩართულობა სწავლების პროცესში, მათი მოთხოვნების გათვალისწინება, ინტერაქციული სასწავლო გარემოს შექმნა, ირეალისის გამომხატველი წინადადების თარგმნა და მათი შედარება გერმანულ და ქართულ ენებზე, როლური თამაშები, პედაგოგის მიერ უცხო ენის სოციო-კულტურული თავისებურებების ახსნა და მათი გაანალიზება.

ინტერკულტურული მეთოდით უცხო ენის სწავლების შედეგად წარმოვაჩინოთ იმ შედეგს, რომელიც დაგეგმილი იყო. კერძოდ, ენის შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად ისაუბროს სამუშაო და თავისუფალი დროის შესახებ გერმანიასა და საქართველოში, ამ ქვეყნებში არსებული ვითარება შეადაროს ერთმანეთს, ისაუბროს მსგავსება-განსხვავებებზე, განსხვავებული პერსპექტივა შეიქმნას უცხო ენის და უცხო სოციო-კულტურულ თავისებურებებზე, რაც ინტერკულტურული მიდგომის მახასიათებელია. ამავდროულად ენის შემსწავლელი იძენს კომპეტენციას ირეალისის ფორმების, მისი განსხვავებულ დროში გამოყენების შესახებ, შეუძლია ირეალისის ფორმების ქართულ-გერმანული ეკვივალენტების მოძიება და წარმოება. გაკვეთილი იძლევა იმის საშუალებას, რომ ენის შემსწავლელმა ამ მცირე დროში შეითვისოს მნიშვნელოვანი გრამატიკული კატეგორია და ასევე შეემლოს ინტერკულტურული მიდგომით საკუთარისა და უცხოს გააზრებით, პერსპექტივის ცვლილებით როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული თემატიკის ათვისება.

4.4.2. ლექციის მოდელი II

მეორე ლექციისთვის შეირჩა **თემა**: ბერტოლტ ბრეხტი - „Wenn die Haifische Menschen wären“. გრამატიკა: კონიუნქტივ II (ირეალისი). **ლექციის ხანგრძლივობა**: 90 წუთი (2 აკადემიური საათი). **ლექციის მიზანი**: თემის განხილვის შემდეგ ენის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს ცოდნა გერმანული მწერლის, ბერტოლტ ბრეხტისა, და მისი ნაწარმოების შესახებ, უნდა შეემლოს

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ქართული და გერმანული სინამდვილის შედარება, ირეალისის სწორი, კორექტული ფორმების გამოყენება სიტუაციის შესაბამისად, უცხო სოციო-კულტურულ გარემოში ორიენტაცია, ინტერკულტურული ცოდნის შექმნა გერმანული და ქართული ისტორიულ-კულტურულ-სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით. **აქტივობები:** განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენება: ინდივიდუალური მუშაობა, ფრონტალური გაკვეთილი, მუშაობა წყვილებში და ჯგუფური მუშაობა. სხვადასხვა სახის დავლება განსხვავებულ სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, რომლებსაც იყენებს მასწავლებელი სამიზნე ჯგუფის ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. **რესურსები:** დაფა, ინტერნეტი, მარკერი, სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები (Arbeitsblätter). **სწავლების საფეხური:** B 2. მეორე ლექციის სტრუქტურა და მიმდინარეობა პირველი ლექციის მსგავსი თანმიმდევრობით და ინტერკულტურული მეთოდით ხორციელდება გაკვეთილის ფაზებისა და სამიზნე ჯგუფის მოთხოვნისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ლექციის ბოლოს დასკვნის სახით გამოვყოფთ შემდეგს:

) ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე სტუდენტები გაეცნენ გერმანულენოვან ავტორს - ბერტოლტ ბრეხტს, მის ბიოგრაფიას, ნაწარმოებს, მიიღეს ისტორიულ-ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაცია გერმანიის ცხოვრების შესახებ მესამე რაიხის დროს;

) გერმანულ ორიგინალურ ტექსტზე დაყრდნობით მოხდა გრამატიკული მასალის შესწავლა და მისი გამოყენება;

) გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

) დადგინდა ირეალისის სტრუქტურების ქართულ-გერმანული შესაბამისობები და განისაზღვრა ეკვივალენტები, რაც მყარ საფუძველს იძლევა გრამატიკული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნისთვის;

) ლექცია წარიმართა განსხვავებული სოციალური ფორმის გამოყენებით, სტუდენტთა ჩართულობითა და აქტიურობით. ენის შემსწავლელთა სალექციო განწყობა მოტივირებული და სწავლაზე ორიენტირებული იყო;

) შემუშავებული იქნა სპეციალურად უცხო ენის ინტერკულტურული გაკვეთილისთვის სავარჯიშოები, ინტერკულტურული კომპეტენციის გასააქტიურებლად;

) გერმანული და ქართული სოციო-კულტურული თავისებურებების განხილვა მოხდა ტექსტთან და მოცემულ სიტუაციებთან კავშირში. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ აღნიშნული სალექციო მოდელი შედეგზე ორიენტირებული იყო და ლექციის მიზანიც მიღწეულ იქნა.

4.5. ინტერვიუ ექსპერტებთან - ფოკუსჯგუფის კვლევა

გაკვეთილის ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელის განხილვა მოხდა ფოკუსჯგუფში. ჩვენი კვლევისას ფოკუსჯგუფის წევრებად შერჩეული იქნენ საქართველოს უნივერსიტეტების გერმანული ენის პედაგოგები მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილებით. ფოკუსჯგუფის წევრები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი კვლევაში მონაწილეობის შესახებ და, რა თქმა უნდა, დაცულია მათი კონფიდენციალობა. ფოკუსჯგუფთან შეხვედრა 1,5-2 საათი გრძელდება. ჯგუფი

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

შედგება 5 წევრისგან (4 ქალი და 1 მამაკაცი), რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტს წარმოადგენენ.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს მოკლედ გავაცანით საკვლევი თემა და ჩვენ მიერ შექმნილი გაკვეთილის მოდელი გერმანულის, როგორც უცხო ენის, ლექციაზე ირეალისის ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისა B1 და B2 საფეხურებისათვის და ვთხოვეთ, შეეფასებინათ ეს მოდელები. ირეალისის სწავლებისას პედაგოგების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელების მიერ ირეალისის გამოყენების სირთულეზე. ჩვენ მიერ შექმნილი სწავლების მოდელების გაცნობის შემდეგ ფოკუსჯგუფის მონაწილეებს ურიგდებათ კითხვარი, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნონ, განიხილონ, იმსჯელონ კითხვებზე და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

ფოკუსჯგუფში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერკულტურული მეთოდის მიხედვით შექმნილი სწავლების მოდელები, რომლებიც გერმანულის, როგორც უცხო ენის, კერძოდ კი, გერმანული ირეალისის სწავლების განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს, დადებითად შეფასდა. თეორიულმა კვლევებმა, გამოცდილებამ და პედაგოგთა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კვლევის აქტუალურობა და მართებულობა - ინტერკულტურული მეთოდით გერმანული ირეალისის ახსნა და მიწოდება ენის შემსწავლელისთვის ადვილად გასაგები ხდება. ის არ უნდა იყოს უცხო სტრუქტურა, არამედ შესისხლხორცეული, გააზრებული კონსტრუქცია, რომლის გამოყენება ენის შემსწავლელს ბევრი ფიქრის და გრამატიკული ნიუანსების გათვლით კი არა, შინაგანად, თავისთავად შეეძლოს.

ფოკუსჯგუფის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ინტერკულტურული მეთოდით შექმნილი სწავლების მოდელები დიდაქტიკურად სწორად, მაღალ აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი, გათვალისწინებულია ენის სისტემის და სასწავლო თემატიკის სოციო-კულტურული ნიუანსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შესაძლებელია ამ მეთოდით სასურველი შედეგის მიღწევა, კერძოდ, გერმანული ირეალისის სწორად და ძალდაუტანებლად ათვისება.

კვლევის შედეგები და დასკვნები

თეორიული და პრაქტიკული კვლევის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უცხო ენის სწავლების ნებისმიერი მეთოდის დანერგვა და პრაქტიკულად განხორციელება მაშინაა ეფექტური, როდესაც იგი თანამედროვეობისა და სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს უპასუხებს. ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის სწავლება უმაღლეს სკოლაში საინტერესო გამოწვევაა უცხო ენის პედაგოგისათვის. ზემოთ გაანალიზებული სწავლების მოდელები და ფოკუსჯგუფის გამოკითხვა გვამღვებს საფუძველს დავასკვნათ, რომ ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის სწავლება დადებით შედეგს იძლევა და ვფიქრობთ, ამით გამოკვლევის მიზანი მიღწეულია.

ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ინტერკულტურული მეთოდით უცხო ენის სწავლება თანამედროვე გამოწვევებს უპასუხებს. ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად იძენს ინტერკულტურულ კომპეტენციას, რაც აუცილებელია გლობალიზებულ სამყაროში კომუნიკაციისა და თანაცხოვრებისათვის. ენა, როგორც ერის კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

კომპონენტი, მიზანშეწონილია შესწავლილი იქნას ინტერკულტურული მეთოდით, რომლის საშუალებითაც ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად ახალ ხედვას, მიდგომას იძენს და თვალსაწიერს იფართოებს. ასეთი გახსნილი მიდგომა უცხო სადმი იწვევს პოზიტიურ შემხვედრ რეაქციას, რაც კომუნიკაციის ხელშემწყობი წინაპირობაა და აიოლებს მას. კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერკულტურული მეთოდით უცხო ენის სწავლება უკეთეს შედეგს იძლევა.

გერმანული და ქართული ენების შედარებითა მორფო-სინტაქსურმა ანალიზმა გვაჩვენა ამ ენების ის მსგავსება-განსხვავებები, რომლებიც გასათვალისწინებელია როგორც უცხო ენების სწავლებისას, ასევე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას. უცხო ენის შესწავლისას მსგავსი სახის ენობრივი შეპირისპირება ენის შემსწავლელს ახალ პერსპექტივას უხსნის, ხდება საკუთარი და უცხო ენების ახლებური და გამარტივებული აღქმა, ახალი კონსტრუქციების თუ სტრუქტურების შედარება. ინტერკულტურული მიდგომა აახლოებს ენის შემსწავლელს უცხო ენასთან და ადვილად აღსაქმელს ხდის მას.

საგულისხმოა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ამოსავალია თანამედროვე სწავლების ინტერკულტურული მეთოდისთვის. გამოკითხვამ დაგვარწმუნა ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაში, კერძოდ, გერმანული ირეალისის სწავლება ინტერკულტურული მეთოდით ქართულენოვანი შემსწავლელისთვის აიოლებს მის აღქმასა და ათვისებას. ინტერკულტურულ უცხო ენის გაკვეთილზე გერმანული ორიგინალური ტექსტების საფუძველზე გრამატიკული მასალის მიწოდება უფრო საინტერესოს და ადვილად აღსაქმელს ხდის უცხო მასალას და იძლევა საკუთარისა და უცხოს შედარების საშუალებას.

მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია, რომ ემპირიული კვლევის შედეგები ახლოს დგას თეორიული კვლევის დასკვნებთან. ამრიგად, ირეალისის სწავლების მაგალითზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

წარმოდგენილი სწავლების მოდელები იძლევა ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის შესწავლის შესაძლებლობას. ამას ადასტურებს ექსპერტთა დასკვნები და შეფასებები. განსხვავებული მიდგომა და პერსპექტივა, უცხო სა და საკუთარის შეპირისპირება და ანალიზი, ენის შემსწავლელის დაინტერესება სასწავლო თემატიკით და მისი აქტიური მონაწილეობა სწავლების პროცესში, გამოცდილებისა და წინარე ცოდნის აქტივაცია მიზანმიმართულად იძლევა წარმატებულ შედეგს. ბუნებრივია, ყველა ფაქტორის გათვალისწინება ვერ მოხდება ერთ კვლევაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ მომავალში ამ მიმართულებით მუშაობას.

პოზიტიურ შედეგს იძლევა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება სწავლების პროცესში, ხდება ენის ცოდნის ენობრივ ქმედებად, ანუ თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა. ირეალისის სწავლების წარმოდგენილი მოდელი, სტუდენტთა, პედაგოგთა და ფოკუსჯგუფის გამოკითხვები გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ დავასკვნათ: მიზანმიმართული, შედეგზე ორიენტირებული, სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისი და კომპეტენტური პედაგოგის მიერ შემუშავებულ სწავლების პროცესს ნამდვილად შეუძლია მიიყვანოს ენის შემსწავლელი სასურველ შედეგამდე, დააძლევინოს ლექსიკური და გრამატიკული ბარიერები და შეძლოს სიტუაციის ადეკვატური ენობრივი ქმედების განხორციელება.

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ირეალისი, როგორც ერთ-ერთი ხშირად, მაგრამ არასწორად გამოყენებული ფორმა, ინტერკულტურული სწავლების საშუალებით ადვილად გასაგები, აღქმადი და განსაზღვრულ სიტუაციაში ადეკვატურად გამოსაყენებელი ხდება.

ინტერკულტურული სწავლებისას ირეალისის გრამატიკული კატეგორია ენის შემსწავლელს მიეწოდება ახალი ტექსტის კონტექსტში ახალი სოციო-კულტურული სამყაროსა და მისი თავისებურებების გათვალისწინებით. გრამატიკული მასალის ათვისება სწორედ ასეთი მიდგომით მარტივდება, რადგან იგი ადვილად აღსაქმელი ხდება. აქტიურ ინტერაქციაში - თამაშის, დიალოგის, ლიტერატურული ტექსტების, ფილმის თუ ყოველდღიური განცხადებების მეშვეობით - ხდება ახალი მასალის ათვისება და განმტკიცება.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებული იქნა ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილზე პედაგოგის როლის შესახებ. უცხო ენისა და კულტურის შედარება და მსგავსება-განსხვავების ახსნა, ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნის მიწოდება, სტერეოტიპების განხილვა და მათზე მსჯელობა ძირითადად მასწავლებლის დახმარებით მიმდინარეობს და დიდი გამოწვევაა როგორც პედაგოგისთვის, ასევე ენის შემსწავლელისთვის.

ჩვენი კვლევა გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: უცხო ენის ათვისებისას სწავლების ინტერკულტურული მეთოდი ისეთივე წარმატებით შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც ირეალისის ფენომენის შესწავლისას, ასევე სხვა გრამატიკული თუ ლექსიკური თემატიკის ასათვისებლად. იგი უნიკალურია უცხო ენის სხვა ფენომენების შესასწავლად. მსგავსი პოზიტიური შედეგით შესაძლებელია სხვა გრამატიკული თუ ლექსიკური ასპექტის შესწავლა. ინტერკულტურული მიდგომა აიოლებს და ახალ ასპექტებს მათებს უცხო ენისა და კულტურის სიახლეების ათვისებას.

მნიშვნელოვანია, რომ პოზიტიურ და ნეგატიურ განწყობას უცხო ენისა და კულტურის მიმართ გავლენის მოხდენა შეუძლია მეორე ენის ათვისებაზე.

უცხო ენის შესწავლა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, უპირველესად, გულისხმობს უარყოფითი კლიშეებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრას საკუთარ თავში, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის გამომუშავებას, საკუთარსა და უცხოს შორის რაციონალური პარალელების გავლენას. ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა, ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის შექმნა. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად უყალიბებს ინტერკულტურულ უნარებს. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, როდესაც იქვე, გაკვეთილზევე, ხდება შექმნილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზება.

ინტერკულტურული სწავლება ორიენტირებულია ინდივიდის პიროვნულ განვითარებაზე - მისი შეხედულებების, ცოდნის, ფასეულობების, უნარების განვითარებაზე. ინტერკულტურული უცხო ენის გაკვეთილზე შედარებისა და კონტრასტული სწავლების გზით ხდება არა მარტო უცხო ენის, როგორც სისტემის შესწავლა, არამედ უცხო კულტურის, აზროვნების, მენტალიტეტის გაცნობა. ინტერკულტურული უცხო ენის სწავლების მეთოდი შედარებით ახალი მიდგომაა, რომელიც სხვადასხვა მეთოდის, ცოდნის დაგროვებისა და

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

გაზიარების გზით შემუშავდა და მიზანშეწონილია მისი გამოყენება უცხო ენის გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებების შესასწავლად.

განხილული სწავლების ინტერკულტურული მეთოდი მნიშვნელოვან წანამძღვრებს ეფუძნება და პერსპექტიულია. უცხო ენის შესწავლა არ შეიძლება მოხდეს ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურისგან იზოლირებულად. ინდივიდს თავს ვერ მოახვევ ვერც უცხო ენასა და ვერც კულტურას, თუ არ აღმარი მასში სათანადო მოტივაცია. ინტერკულტურული სწავლების მთელი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ აუდიტორიაშივე ხდება უცხო სადმი ინტერესის გაღვიძება და აქვე იწყება მისი შეცნობა, რასაც ასაზრდოებს კონტრასტულ-შედარებითი მიდგომა საკუთარი და უცხო კულტურებისადმი, საკუთარი და უცხო ენისადმი. ინტერესის გაღვიძება კი სწორედ ის საწყისი საფეხურია, რომელსაც სწავლა-სწავლების შემოქმედებით პროცესად გადაქცევა უნდა მოჰყვეს. ინტერკულტურული დიდაქტიკა ჯერ კიდევ ძიების, განვითარებისა და დახვეწის გზაზე არა მარტო გერმანიაში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც. ძიების ეს პროცესი ახლო მომავალში ახალ რეალურ კონტურებს შეიძენს საქართველოში როგორც ჩვენს, ასევე სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც.

რეკომენდაციები

სასურველია, შეიქმნას ქართველი შემსწავლელებისთვის გერმანულის, როგორც უცხო ენის, ინტერკულტურული სახელმძღვანელო და მომზადდეს შესაბამისი კურიკულუმი აღნიშნული მეთოდით და მათში გათვალისწინებული იყოს საქართველოსა და გერმანიის სოციო-კულტურული თავისებურებები.

ამავდროულად, საჭიროა უცხო ენის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, პედაგოგებისთვის საკვალიფიკაციო სემინარების პერმანენტულად ჩატარება, რაც მათ დამატებითი კვალიფიკაციის შეძენის საშუალებას მისცემს. თეორიული ცოდნის გაღრმავების პარალელურად საჭიროა გაცვლით პროექტებში მონაწილეობა გერმანულენოვან ქვეყნებში, კოლეგებთან ურთიერთობა, გამოცდილების გაზიარება, ლექციებზე დასწრება და სასწავლო პროცესში ამ ფორმით ჩართვა. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ენობრივი ცოდნის გაღრმავებას, არამედ გააცნობს მათ გერმანულენოვან სოციო-კულტურულ გარემოს, ყოველდღიურობას, წეს-ჩვეულებებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წესს და სხვ. ამ გზით მიზანმიმართულად მოხდება ინტერკულტურული კომპეტენციის შეძენა. მიღებულ კომპეტენციას კი უცხო ენის პედაგოგები ლექცია-სემინარებზე გამოიყენებენ, რაც შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას შეუწყობს ხელს.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სასწავლო გეგმაში მიზანშეწონილია ქვეყანათმცოდნეობითი თემების არსებობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტერკულტურული კომპეტენციის მიღებას. მსგავსი მიდგომით უცხო ენის შემსწავლელი უცხო ენასთან ერთად ეუფლება ამ ენის გავრცელების ბუნებრივი არეალის სოციო-კულტურულ თავისებურებებს.

საქართველოში, სადაც მრავალენოვნება და მრავალკულტურულობა ტრადიციული მოვლენაა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერების მშვიდობიან თანაარსებობას. ამ მიზანს ემსახურება მრავალი საგანმანათლებლო ღონისძიება და მომავალშიც გასათვალისწინებელია ახალი იდეების განხორციელება. სასურველია, დაიგეგმოს შემეცნებით-საგანმანათლებლო

ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში

ღონისძიებები, პროექტები, რომლებიც ქართულ-გერმანული ურთიერთობების აქამდე უცნობ ისტორიებს გააცნობს საზოგადოებას და განსხვავებული პერსპექტივიდან წარმოაჩენს მათ. ასეთი აქტივობები ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობას სწავლისა და კვლევის პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლებას, რათა გაიგონ და შეიმეცნონ სიახლეები.

ენების ერთიანი ევროპული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ხდება უცხო ენის სწავლების თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბება, ითვალისწინებს ტოლერანტობის გამომუშავებას უცხო ენის, რასის, რელიგიის, კულტურისა და მენტალობისადმი. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია უცხო ენის პედაგოგებმა და მეთოდისტებმაც შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ მიმართულებით. ინტერკულტურული კომპეტენციის გადაცემა უნდა გახდეს მათი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმებში სწავლების ინტერკულტურული კომპონენტი, რაც გაამარტივებს უცხო კულტურათა წარმომადგენლების მშვიდობიან თანაარსებობას.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომები:

თანამედროვე გერმანული ლინგვოდიდაქტიკის ინტერკულტურული ასპექტები და ქართული ლინგვოკულტურული სინამდვილე. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“. №8. 2014.

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/79>

სტერეოტიპები დიდაქტიკური თვალთახედვიდან. განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია 2014| No. 5(31). რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი. <http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list aut artic ge.php?b sec=&list aut=2860>

ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში. განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია 2015| No. 1(33). რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი. [file:///C:/Users/Mzeqala/Downloads/2413%20\(4\).pdf](file:///C:/Users/Mzeqala/Downloads/2413%20(4).pdf)

გერმანულის, როგორც უცხო ენის გაკვეთილზე გრამატიკის სწავლება. განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია 2016| No. 1(38). რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი. [file:///C:/Users/Mzeqala/Downloads/2732%20\(8\).pdf](file:///C:/Users/Mzeqala/Downloads/2732%20(8).pdf)

სტერეოტიპები ლინგვისტური პერსპექტივებიდან. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის შრომები 2016. გვ. 67-85.